ღირსეული შეხვედრა—სკკპ XXII ყრილობას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 161 (12075) | სამშაბათი, 18 ივლისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ფართო გზა—ახალს პარტიულ მუშაობაში!

კომუნისტური მშენებლობის ნათელ გზაზე ამაყად მიდიან საბჭოთა ადამიანები. მიდიან ისინი უკეთესი მომავლის რწმენით და უყოყმანოდ მიჰყვებიან მშობლიურ პარტიას — საბჭოთა საზოგადოების მებრძოლ ავანგარდს. ყველა ის, ვინც ვულმოდგინედ აკვირდება ჩვენი პარტიის თვითეულ ნაბიჯს, იცნობს მის მთელ ცხოვრებას, ნათლად ხედავს თუ როგორ ამაღლდა, გაიზარდა პარტიის როლი სოციალისტურ საზოგადოებაში, თუ რა გიგანტური წარმატებები მოიპოვა მან იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მოღვაწეობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ნამდვილად ტიტანურ მუშაობას ეწევა შვიდწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის მასების მობილიზაციის საქმეში. პარტიული ორგანიზაციები სათავეში უდგანან ქალაქისა და სოფლის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას, რასაც ისინი ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ფართოდ აჩაღებენ სკკპ XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნის ამოცანის განხორციელებისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უდიდესი გამოცდილება დააგროვეს სამეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში. უკანასკნელი წლების მანძილზე პარტია კიდევ უფრო შეუსისხლხორცდა ხალხს, განუზომლად გაფართოვდა და განმტკიცდა მისი კავშირი მასებთან. გამდიდრდა მშრომელთა ყველა ფენაში მისი პოლიტიკური და ორგანიზაციული სანქციონობის გამოცდილება. პარტიის მიერ გატარებული მთელი რიგი ღონისძიებანი, რაც მიმართულია ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოებისაკენ, ხელს უწყობს ადგილებზე ინიციატივის განვითარებას.

ჩვენში ტრადიციად იქცა პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გამოტანა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარტია ეთათბირებოდა ხალხს ისეთ დიდ ღონისძიებათა შესახებ, როგორიც არის მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია და საკავშირო-ეროვნული წყობილების შემდგომი განვითარება, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცება და სხვა. საბჭოთა ქვეყნის მშრომელები უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ პარტია XXII ყრილობის წინ მოეთათბირება ხალხს თავისი პროგრამისა და წესდების შესახებ.

მახებისადმი შემოქმედებითი ხელმძღვანელობის გამოვლინებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე პარტიულ აქტივთან ერთად უპარტიო მოწინავე ადამიანების მიწვევა. პარტიული მუშაობის ეს ახალი მეთოდი ფართოდ დამკვიდრდა სოფლებში, საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაშიც.

პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკულ მოღვაწეობაში დაიბადა და უკვე გავრცელდა ბევრი ისეთი ახალი ფორმა, როგორიცაა სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიები, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების პლენუმებისა და ბიუროების ჩატარება უშუალოდ საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, პარტიის რაიკომების მუდმივი კომისიები და სხვა. ყველა ეს შემოქმედებითი პარტიული მუშაობის ნათელი გამოვლინებაა.

ყურადღებას იმსახურებენ თბილისის, რუსთავის, ზუგდიდის, ახალციხის და სხვა ქალაქებისა და რაიონების პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილი პარტიულ კონტროლის კომისიები. ეს კომისიები, ებრძვიან რა საწარმოებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, ბევრი მნიშვნელოვანი წამოწყების ინიციატორები არიან. ახალციხის ქვანახშირის პირველ შახტაში საჭირო ყურადღება არ ექცეოდა ძვირად ღირებული ხისა და ლითონის სამაგრი მასალების ხელმეორედ გამოყენებას, რაც იწვევდა ქვანახშირის თვითღირებულების გაძვირებას, შრომის ნაყოფიერების შემცირებას. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების პარტიული კონტროლის კომისიამ (თავმჯდომარე ი. გოზალიშვილი) მუდმივმოქმედ საწარმო თათბირის წევრებთან ერთად შეისწავლა ეს საკითხი, წამოაყენა პრაქტიკული წინადადებებიც, რის შემდეგ შახტაში შეიქმნა სპეციალური ბრიგადები, რომლებსაც დაევალათ სამაგრი მასალების შეგროვება. ამის შედეგად მიმდინარე წლის 6 თვეში მარტო ამ ღონისძიების გატარებით პირველმა შახტამ 2220 მანეთის ეკონომია მიიღო.

პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობას უნარიანად ხელმძღვანელობს პარტიის ბევრი საქალაქო და რაიონული კომიტეტი. ისინი ხშირად აწყობენ სემინარებს, საინსტრუქტაჟო თათბირებს, ცალკეული კომისიების მუშაობის საკითხებს იხილავენ ბიუროს სხდომებზე.

მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებების გამოვლინებაში, რაც არსებობდა სოფელ ოზანის კოლმეურნეობაში, დიდად დაეხმარნენ პარტიის წითელწყაროს რაიკომს თვით კოლმეურნეობაში მომუშავე რიგითი კომუნისტები. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა რაიკომის გამსვლელი ბიურო. პარტიული მუშაობის ასეთი ფორმა მტკიცედ დამკვიდრდა რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში.

უკანასკნელ ხანს უმრავლესი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო ფართოდ იჭრება საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტები და პარტიის ქალაქკომებთან, რაიკომებთან შექმნილი მუდმივი კომისიები. თბილისას საქალაქო საბჭოს პარტიული ორგანიზაციის კომუნისტები კმაყოფილებით ლაპარაკობენ მათთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტის ხელმძღვანელის ნაყოფიერ საქმიანობაზე (გამგე ქ. ოტიაშვილი).

ყურადღებისა და მოწონების ღირსია პარტიის სამგორის რაიკომთან შექმნილი მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის შტატგარეშე განყოფილება.

ყოველდღიურად სულ უფროდაუფრო ფართოდ ებმებიან პარტიული კომიტეტის წევრები მუშაობაში. სწორად მოიქცნენ ის რაიკომები და საქალაქო კომიტეტები, რომლებმაც შექმნეს სხვადასხვა მუდმივი კომისიები. ამ კომისიებში ჩაბმული პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების წევრები მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად, პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის გასაძლიერებლად. მაგალითად, პარტიის მახარაძის რაიკომთან 5 ასეთი კომისიაა შექმნილი, რომლებშიც გაერთიანებულია რაიკომის ყველა წევრი და კანდიდატი.

მაგრამ პარტიულ მუშაობაში სიახლის ძიება როი ნიშნავს იმას, რომ უკუაგდოს ფორმები და მეთოდები, რაც ცხოვრებამ დიდი ხანია შეამოწმა და მტკიცედ დანერგა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში, ან უყოყმანოდ მივიღოთ ყველაფერი, რაც კი ახალი გამორჩდება. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი ჩავჭიდოთ ყოველი ახალი ფორმიდან საუკეთესოს, პროგრესულს, გავბადოთ იგი ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის კუთვნილებად. ამასთანავე გონივრულად გამოვიყენოთ ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც კარგა ხანია დამკვიდრდნენ ცხოვრებაში და მათი გამოყენებით პარტიულმა ორგანიზაციებმა წარმატებები მოიპოვეს.

პარტიული მუშაობა შემოქმედებითი საქმეა. ჩვენს წინაშე მდგომი სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს — უფრო სრულყონ და მდიდარი გახადონ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობა, გონივრულად ჩასჭიდონ ხელი ყოველივე ახალს, რაც იბადება და ხელს უწყობს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე საბჭოთა ადამიანების შეუნელებელ წინსვლას.

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲩᲔᲛᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲕ!

წყალტუბო. („საქგუმბრინის“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი დიდი აღმავლობით შრომობს იმისათვის, რომ სასახელო მაჩვენებლებით შეხვდეს პარტიის XXII ყრილობას. მაღაროელებმა ნახევარი წლის დავალება 104,8 პროცენტით გაანაღდეს და ათასობით ტონა ზეგეგმითი ნატეხი გუმბრინი მისცეს ქვეყანას, ივლისში კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა და თვის პირველ დეკადაში გეგმა 107 პროცენტით შეასრულეს.

მადნის ღია წესით მოპოვებამ და მექანიზაციის ფართოდ დანერგვამ მაღაროს დიდი ეკონომიური ეფექტი მისცა. განვლილ პერიოდში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 10.5 პროცენტით, თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულია 25 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია.

სასაქონლო მადნის დამზადების ნახევარი წლის დავალების შესრულებაში ყველას გაუსწრო № 1 მაღაროს (უფროსი ჯ. იოსელიანი) კოლექტივმა.

ჩოხატაური. (საკ. კორ.). ჩაის პირველი ფაბრიკის კოლექტივმა ნახევარი წლის დავალება 104.5 პროცენტით შეასრულა. ტექნოლოგიური რეჟიმის მტკიცედ დაცვით მნიშვნელოვნად ამაღლდა პროდუქციის ხარისხი. აქ უმაღლესი ხარისხის პირველი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების დავალება 189 პროცენტით შეასრულეს, უმაღლესი ხარისხის მეორე კატეგორიისა— 105 პროცენტით.

ამ საერთო წარმატებების მოკოვებაში თავი ისახელეს ფაბრიკის მოჭიანავე ადამიანებმა ს. ულრელიძემ, ბ. ბუხმეზაშვილმა, შ. სიმონიშვილმა, თ. სიხარულიძემ, მ. ტრაპაიძემ, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს სამმაგად ასრულებენ.

სამტრედია. (საკ. კორ.). ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის დავალება. ექვს თვეში გამოშვებულია 590 ათასი მანეთის პროდუქცია, გეგმა კი 536 ათასი მანეთისას ითვალისწინებდა. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 2 პროცენტით გაზარდა, მნიშვნელოვნად შემცირა პროდუქციის თვითღირებულება.

წარმატებით ეწევიან ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტს შ. ლეჟავა, ა. ბახტაძე, ა. გაგუა, ვ. შენგელია, გ. ვაშაკიძე.

ახმეტა. („კომუნისტის“ კორ.). წინასაყრილობო შრომითს ვახტზე დგას ახმეტის სატყეო კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი (დირექტორი დ. არველაძე). ენერგიული შრომით საწარმოს კოლექტივმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის დავალება. გამოშვებულია 1.237 ათასი მანეთის ნაცვლად 1.321.900 მანეთის პროდუქცია. გეგმით გათვალისწინებული 47 ათასი კუბმეტრის ნაცვლად დამზადეს და გამოზიდეს 51.250 კუბმეტრი მორი და შეშა.

ხე-ტყის დამზადების უბნებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ორკილის უბანი (უფროსი ზ. არაბული). უბანმა 113 პროცენტით შეასრულა ხე-ტყის დამზადების ნახევარი წლის დავალება. ექვსი თვის დავალებები გადაჭარბებით შეასრულეს ილტოსა და ხევისჭალის უბნებმა, რომლებსაც ლ. გოცირიძე და უ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობენ.

საწარმოო დავალებების განაღდებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ხეტყის სახერხი ქარხნის კოლექტივმა. გეგმით გათვალისწინებული 21.100 კუბმეტრის ნაცვლად დახერხა 22.392 კუბმეტრი მორი, გამოუშვა 83.497 კვადრატული მეტრი პარკეტი, გეგმა კი 75 ათას კვადრატულ მეტრს ითვალისწინებდა.

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ყველ-კარაქის ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი კ. ხარებავა), სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. საწარმოს კოლექტივმა 20 ივნისისათვის პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ნაცვლად 112 ათასი მანეთისა გამოშვებულია 115 ათასი მანეთის პროდუქცია.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით მიღებულია ზეგეგმითი ეკონომია და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 9 ათასი მანეთი.

საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხელმძღვანელოთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 30, გვ. 488.

ᲗᲘᲑᲐᲕᲔᲜ, ᲐᲑᲘᲜᲐᲕᲔᲑᲔᲜ

ცაგერი. (საკ. კორ.). ზაფხულის ხშირმა წვიმებმა საუკეთესო პირობები შექმნა ბალახის ზრდისათვის. მთის სათიბები მწვანედ აბიბინდა. წელს თივის მოსავალს კარგი პირი უჩანს.

რაიონის მეცხოველეები აქედანვე შეუდგენენ მზადებას მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. კოლმეურნეობებში უკვე დაკომპლექტეს მთიბავთა ბრიგადები. მოამზადეს ინვენტარი. უცერის კოლმეურნეობის მთიბავთა იმ რგოლმა, რომელსაც ჰ. ახვლედიანი ხელმძღვანელობს, უკვე გათიბა 7 ჰექტარი და 300 ცენტნერი მაღალხარისხოვანი თივა დაამზადა.

გასულ წელს აღვის კოლმეურნეობა პირუტყვის საკვების სიმცირეს განიცდიდა. ამან თავისი დაღი დაადნია მეცხოველეობას. შემცირდა წველადობა, ომატ პირუტყვის საკვებილიანობამ. კოლმეურნეობის ახალმა გამგეობამ ეს მწარე გაკვეთილი გაითვალისწინა. თივის დამზადებას აქ დროულად შეუდგნენ. დღეისათვის კოლმეურნეობას გათიბული აქვს 10 ჰექტარზე მეტი იონჯა.

თივის დამზადებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ კოლმეურნეობის პირველი და მეორე ბრიგადები. თვითეულ მათგანს დამზადებული აქვს 70 ცენტნერი თივა.

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს ცაგერის საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობის ახალგაზრდებმა. მათ გადაწყვიტეს თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში.

კოლმეურნეობის ახალგაზრდებმა პირობა დადეს შეაკვეთონ 500 ტონის ტეიადობის სასილოსები, ეკალ-ბარდებისა და ქვებისაგან გაწმინდონ 30 ჰექტარი სათბი, დაამზადონ 2.500 ცენტნერი თივა, კულტურული მომსახურება გაუწიონ ფერმის მუშაკებს.

ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ

სოხუმი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). აფხაზეთის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს შვიდწლედის მესამე წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 8.550 ტონა თამბაქოს ნედლეული. ეს დიდი ვალდებულებაა, რომლის გასანაღდებლად ახლა ფართოდ არის გაჩაღებული თამბაქოს მოსავლის აღება.

სოხუმის რაიონის სოფელ გულრიფშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ (თავმჯდომარე ო. დავითაია) თამბაქოს პლანტაციები 100 ჰექტარზეა გადაჭიმული. ბოლოდროინდელი მეთამბაქეები ჩაებნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრეს წელს წარმოებას მისცენ 120 ტონა თამბაქოს ნედლეული ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 100 ტონისა.

კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მეთამბაქეე ჯემალ ზარანდია ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა სახელმწიფოს მიჰყიდოს 20 ტონა თამბაქო ნაცვლად 15 ტონისა. ბრიგადა ყველაზე ადრე შეუდგა მოსავლის აღებას.

თამბაქოს შეტეხისა და ანმესვის საქმეში წინ მიდიან ის ბრიგადები, რომლებსაც ა. ჩაჩიბაია, ა. თოფჩიანი და ბ. მინოსიანი ხელმძღვანელობენ. კოლმეურნეობაში უკვე ანმესილია 12 ათასზე მეტი ზონარმეტრი თამბაქო.

აფხაზეთის მეთამბაქეები ნაკისრ ვალდებულებას წარმატებით გაანაღდებენ და თავიანთ შრომითს მიღწევებს უპატაკებენ პარტიის XXII ყრილობას.

ᲢᲧᲘᲒᲣᲚᲔᲚ ᲛᲔᲐᲒᲠᲔᲨᲣᲛᲔᲔᲑᲗᲐᲜ

ტყიბული. (საკ. კორ.). რაიონის მეაბრეშუმეები პარკის კარგ მოსავალს იღებენ. სოფელ ზედაჭაკვის კოლმეურნეობის წევრმა ე. მერკვილაძემ ორი გრამი აბრეშუმის მურიდან 5.2 კილოგრამის ნაცვლად 10 კილოგრამი პარკი ჩააბარა დამამზადებელ პუნქტს, ნადია ლოსაბერიძემ გეგმით გათვალისწინებული 7.8 კილოგრამის ნაცვლად მიმლე პუნქტს ჩააბარა 13.5 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის აბრეშუმის პარკი.

რაიონში უკვე დამზადებულია 4 ტონაზე მეტი აბრეშუმის პარკი. დამზადება გრძელდება.

ᲓᲔᲑᲘ ᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ

— **ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ** მესამე წელს სოფელ ბიის მეჩაიეებმა 18 დღით ადრე შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. მაგრამ მეჩაიეები ამით თვითკმაყოფილებას როდი ეძლევიან, პირიქით, უფრო მეტი ენერგიით განაგრძობენ შრომას, — ამბობს ხობის რაიონის სოფელ ბიის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. როდონაია.

მართლაც, მრავალთა შორის აი ერთი მაგალითი: დები გული და ცენნა შონიები მზის ამოსვლას არ აცლიან, თავგამოდებით კრეფენ ჩაის ფოთოლს. მათ საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მიაშურეს მშობლიურ კოლმეურნეობას. თვითეული მათგანი 0,3 ჰექტარ ჩაეს პლანტაციას უვლის. შარშან 2.000 კილოგრამი მოკრიფეს, წელს იმავე ნაკვეთზე თვითეული 3.000 კილოგრამი ჩაისათვის იბრძვის.

— შევეჯიბროთ ერთმანეთს,—თქვეს დებმა, და კიდევაც ეჯიბრებიან. მწვანე ფოთოლს თითქმის თანაბრად კრეფენ, ხან ერთია წინ, ხან მეორე. გულის დღემდე 2.700 კილოგრამი, ხოლო ცენნას 2.600 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ აქვს მოკრეფილი.

დები შონიები პარტიის XXII ყრილობას სასახელო შრომითი გამარჯვებით შეხვდებიან. („კომუნისტის“ საკ. კორ.).

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

მოსკოვი, 15 ივლისი. (საკდესი). უკვე ერთი კვირაა, რაც მოსკოვში გრძელდება მეორე საერთაშორისო კინოფესტივალი.

დღეს კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტმა მოაწყეს დარბაზობა მოსკოვის მეორე საერთაშორისო კინოფესტივალის გამო. აქ, კრემლის გიორგის დარბაზში, მოვიდნენ ფესტივალის მონაწილენი და სტუმრები, სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციები, ყიურის წევრები, საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები.

შეკრებილთ გულთბილად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა.

ამხანაგმა ე. ა. ფურცევამ დღეგრძელობა უსურვა კინოს მოღვაწეებს, იმათ, ვისი შრომაც ჰქმნის ხელოვნების ნაწარმოებებს, რომლებიც ადიდებენ ადამიანს

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲯᲝᲜ ᲛᲐᲙᲚᲝᲘ

16 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ საღამოს მოსკოვში ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე, განიარაღების საკითხებში ჯონ მაკლოი და ამერიკის დელეგაციის სხვა წევრები, რომ მონაწილეობა მიიღონ ორმხრივ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაში განიარაღების საკითხებზე, რაც, შეთანხმების შესაბამისად, 17 ივლისს განახლდება მოსკოვში. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲒᲚᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

17 ივლისს მოსკოვში შეთანხმების შესაბამისად, რომელიც წინათ მიღწეულ იქნა საბჭოთა მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის, განახლდა აზრთა გაზიარება საკითხებზე, რომლებიც ეხება განიარაღებას და იმას, რომ განახლდეს მოლაპარაკება შესაბამის ორგანოში, რომლის შემადგენლობაც შესათანხმებელია.

ᲡᲐᲙᲐᲢᲘᲝ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲡᲣᲓᲐᲜᲘᲓᲐᲜ

მოსკოვი, 17 ივლისი, (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოწვევით 17 ივლისს მოსკოვში სახელმწიფო ვიზიტად ჩამოვიდნენ სუდანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი იბრაჰიმ აბუდი და მისი თანმხლები პირები.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲥᲘᲜᲗᲔᲚᲘᲐᲜᲘ პარტიის XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში მუშაობა გააძლიერეს და ახალ წარმატებებს მიაღწიეს ბობოყვათის, ციხისძირის, ხუცუბნის, ქაქუთის, დაგვას, წითელი ოქტომბრის, ჩაისუბნის კოლმეურნეობებმა. მათ უკვე შეასრულეს ჩაის კრეფის ივლისის გეგმა. სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ სამი თვის გეგმის გადამეტებით მოკრიფა 47 ტონა ჩაის ფოთოლი და ვალდებულება იკისრა თვის ბოლომდე კიდევ მოკრიფოს 100 ტონა.

ამ კოლმეურნეობის მეჩაიემ **ზია ნურიძემ** მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაის ნედლეული, სულ მოკრეფილი აქვს 7 ტონაზე მეტი. ხუცუბნელი **ბესირე ბაჯელიძე,** ქაქუთელი **ემინე ზაქარიაძე,** ჩაისუბნელი **ფიქრიე ყურშუბაძე,** ალამბრელი **ხატიჯე კაკაბაძე** ყოველდღიურად 80-100 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფენ.

ᲨᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). სოფელ თვალუეთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში თავი ისახელა ნესტორ ბიწაძის ბრიგადამ. ნესტორი ექვსი წელია მეჩაიეთა ბრიგადას უძღვება. პლანტაციას მისი მზრუნველი ხელი ატყვია.

ნესტორ ბიწაძის ბრიგადამ წელს 12 ტონა „მწვანე ოქრო“ უნდა მოკრიფოს. უკვე მოკრეფილი აქვს 11 ტონა. ბრიგადის მტკიცე გადაწყვეტილებაა წელს მოკრიფოს სულ მცირე 15 ტონა ჩაის ფოთოლი და ღირსეულად შეხვდეს პარტიის XXII ყრილობას.

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲜᲔᲡᲢᲝᲠ ᲑᲘᲬᲐᲫᲘᲡ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲐ

165.000 ტონა ჩაისათვის!

ᲠᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ. („საქგუმბრინის“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი დიდი აღმავლობით შრომობს იმისათვის, რომ სასახელო მაჩვენებლებით შეხვდეს პარტიის XXII ყრილობას. მაღაროელებმა ნახევარი წლის დავალება 104,8 პროცენტით გაანაღდეს და ათასობით ტონა ზეგეგმითი ნატეხი გუმბრინი მისცეს ქვეყანას, ივლისში კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა და თვის პირველ დეკადაში გეგმა 107 პროცენტით შეასრულეს.

მადნის ღია წესით მოპოვებამ და მექანიზაციის ფართოდ დანერგვამ მაღაროს დიდი ეკონომიური ეფექტი მისცა. განვლილ პერიოდში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 10.5 პროცენტით, თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულია 25 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია.

სასაქონლო მადნის დამზადების ნახევარი წლის დავალების შესრულებაში ყველას გაუსწრო № 1 მაღაროს (უფროსი ჯ. იოსელიანი) კოლექტივმა.

ᲠᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). ჩაის პირველი ფაბრიკის კოლექტივმა ნახევარი წლის დავალება 104.5 პროცენტით შეასრულა. ტექნოლოგიური რეჟიმის მტკიცედ დაცვით მნიშვნელოვნად ამაღლდა პროდუქციის ხარისხი. აქ უმაღლესი ხარისხის პირველი კატეგორიის პროდუქციის გამოშვების დავალება 189 პროცენტით შეასრულეს, უმაღლესი ხარისხის მეორე კატეგორიისა— 105 პროცენტით.

ამ საერთო წარმატებების მოკოვებაში თავი ისახელეს ფაბრიკის მოჭიანავე ადამიანებმა ს. ულრელიძემ, ბ. ბუხმეზაშვილმა, შ. სიმონიშვილმა, თ. სიხარულიძემ, მ. ტრაპაიძემ, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს სამმაგად ასრულებენ.

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ. (საკ. კორ.). ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის დავალება. ექვს თვეში გამოშვებულია 590 ათასი მანეთის პროდუქცია, გეგმა კი 536 ათასი მანეთისას ითვალისწინებდა. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 2 პროცენტით გაზარდა, მნიშვნელოვნად შემცირა პროდუქციის თვითღირებულება.

წარმატებით ეწევიან ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტს შ. ლეჟავა, ა. ბახტაძე, ა. გაგუა, ვ. შენგელია, გ. ვაშაკიძე.

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ. („კომუნისტის“ კორ.). წინასაყრილობო შრომითს ვახტზე დგას ახმეტის სატყეო კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი (დირექტორი დ. არველაძე). ენერგიული შრომით საწარმოს კოლექტივმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის დავალება. გამოშვებულია 1.237 ათასი მანეთის ნაცვლად 1.321.900 მანეთის პროდუქცია. გეგმით გათვალისწინებული 47 ათასი კუბმეტრის ნაცვლად დამზადეს და გამოზიდეს 51.250 კუბმეტრი მორი და შეშა.

ხე-ტყის დამზადების უბნებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ორკილის უბანი (უფროსი ზ. არაბული). უბანმა 113 პროცენტით შეასრულა ხე-ტყის დამზადების ნახევარი წლის დავალება. ექვსი

ᲒᲐᲫᲐᲕᲔᲜ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲡ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲚᲛᲐ მეჩაიეებმა კარგად იციან, რომ ჩაის კრეფის სეზონში ივლისი გადამწყვეტი თვეა. ამიტომაც ისინი ცდილობენ ნაყოფიერად გამოიყენონ ეს დღეები, არ დაკარგონ არც ერთი წუთი უქმად.

სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის „გზა კომუნიზმისაკენ“ მეჩაიეების შრომა ამის მკაფიო მაგალითია. მხარს უჭერენ რა გამოჩენილი მეჩაიეების ლეილა მაღულარიას, მერი ქარდავას და იზოლდა წოწონავას პატრიოტულ თაოსნობას, ისინი ყოველდღიურად მეტ ჩაის ფოთოლს კრეფენ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

ამ კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა რგოლმა (ხელმძღვანელი ნ. უგრეხელიძე) მოსავლელად მიჩენილი 3,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე დღემდე 4.500 კილოგრამი მოკრიფა და ჩაბარა წარმოებას. რგოლი სეზონში 25.000 კილოგრამს მოკრეფს. დღემდე მოკრეფილი აქვს 16.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი.

— სხვებს არ ჩამოვრჩებით ჩაის კრეფაში, — ამბობენ რგოლის კომკავშირელი მკრეფავები ნ. გოგიტიშვილი, დ. ბარამიძე, ვ. ვაშაკიძე და სხვები.

მართლაც, ისინი ბაძავენ ჩაის კრეფის ოსტატებს და ყოველდღიურად სულ უფრო დიდი რაოდენობით აბავავებენ „მწვანე ოქროს“.

ახალგაზრდა მეჩაიეები სახასელო მაჩვენებლებით შეხვდებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას.

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

ᲓᲔᲑᲘ ᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ

— **ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ** მეს

პარტიული ცხოვრება

ღირსეული სასჯელი „სოფლის არისტოკრატებს“

სტალინირი. (სპეც. კორ.). საღამოა. სოფელ ქსუისის კოლმეურნეობის კანტორის წინ მრავალი კოლმეურნე მოსულა... მიმდინარეობს პარტიის სტალინირის რაიკომის გამსვლელი ბიურო, რომელსაც რაიონის აქტივის გარდა, ეს-წრებიან ამ სოფლის კომუნისტები. გამსვლელი ბიუროს დღის წესრიგში ერთი საკითხია გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილის „სოფლის არისტოკრატების“ შესახებ.

— რატომ ამ კოლმეურნეობაში მოაწყო პარტიის სტალინირის რაიკომმა გამსვლელი ბიურო და არა სხვაგან? შეეკითხეთ პარტიის სტალინირის რაიკომის მდივანს ი. ხაბალაშვილს.

— რაიონის კოლმეურნეობათა შორის „სოფლის არისტოკრატები“ აქ უფრო ხშირად გვხვდებიან. „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად ამ კოლმეურნეობიდან არის აღებული, — გვიპასუხა მდივანმა.

იწყება ბიუროს სხდომა... მსჯელობენ კომუნისტების ვიქტორ ჯავახიშვილის, გაიოზ ვალიევის, იასონ ალბოროვის, კოტე საღირაშვილის შესახებ..

ვინ არიან ისინი?

— სოფლის ზარმაცები! მათ კოლმეურნეობაში შრომა სათაკილოდ მიაჩნიათ, ქალაქიდან ქალაქში დაძვრებიან, ეწევიან საკარმიდამო ნაკვეთებიდან მიღებული ვაშლით სპეკულაციას, ქედმაღლობენ, არ ემორჩილებიან საკოლმეურნეო დემოკრატიას და პარტიული ორგანიზაციის მოთხოვნებს. თვითეულ მათგანს არაერთხელ მოუვლია ჩვენი ქვეყნის სამრეწველო რაიონები და სპეკულაციურ ფასებში გაუყიდია ქსუისიდან წაღებული ვაშლი.

— რატომ კოლმეურნეობაში არ მუშაობთ? — შეეკითხნენ ბიუროს წევრები გაიოზ ვალიევს.

— ავად ვარ!

— რა გტკივათ?

— არ ვიცი, ცოტა თავს სუსტად ვგრძნობ...

— მერე როსტოვის, სტალინგრადის მძაფრ აინვნებს როგორ გაუძელით, ბაზარზე როგორ გადაგქონდ-გადმოგქონდათ 50-60-კილოგრამიანი უუთები?

ამ კითხვაზე ვალიევმა თავი ჩაღუნა. რას იტყოდა, როცა აშკარად ჩანდა მისი დანაშაული. ბიუროზეც ნათელი გახდა, რომ გაიოზ ვალიევი სოფლის უქნარა კაცია, რომელსაც მხოლოდ სხვისი ოფლით, სხვისი შრომით უნდა ცხოვრება.

> **პარტიის რაიკომის გამსვლელი ბიურო კოლმეურნეობაში განიხილავს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილს — „სოფლის არისტოკრატები“.**

ასეთივე დღე დაადგა კოტე საღირაშვილს. ყველა იცნობს კოტეს ქსუისში. ცხოვრობს ისე, როგორც მოესურვება. რომ იტყვიან, ქვაც აქვს და კაკალიცო, ახე „აკინძა“ კოტემ თავისი ცხოვრება. კოლმეურნეობაში შრომა როგორ ეკადრება?!.

ბიუროს წევრებმა და ამ სხდომაზე დამსწრე სოფლის კომუნისტებმა სასტიკად გაკიცხეს უქნარა კომუნისტები იასონ ალბოროვი და ვიქტორ ჯავახიშვილი.

პარტიის სტალინირის რაიკომის ბიუროს სავსებით სწორად ცნო გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი სათაურით „სოფლის არისტოკრატები“.

რაიკომის ბიუროს უქნარობის, ქედმაღლობისა და სპეკულაციისათვის, რაც შეუფერებელია პარტიის წევრთა მოქმედებასთან, სკკპ რიგებიდან გარიცხა გაიოზ ვალიევი და კოტე საღირაშვილი.

იასონ ალბოროვს და ვიქტორ ჯავახიშვილს კი გამოეცხადათ სასტიკი საყვედური პირად ბარათში შეტანით.

პარტიის რაიკომის ბიუროს დადგენილებაში დასახულია ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

გამსვლელი ბიუროს დადგენილებას რაიონის ყველა საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია განიხილავს.

პითხვა-პასუხის საქალაქო საღამო

ქუთაისი. (საკ. კორ.). მშრომელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კითხვა-პასუხის საქალაქო საღამომ, რომელიც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ და პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა მოაწყეს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. კობახიძემ.

მრავალმხრივ და აქტუალურ კითხვებზე, რომლებიც მსმენელთათვის ყველაზე მეტად საინტერესო საკითხებს მოიცავდნენ, ამომწურავი პასუხი გასცეს მაღალკვალიფიციურმა ლექტორებმა.

კოსმოსის ათვისების საქმეში საბჭოთა კავშირის მიღწევებზე ილაპარაკა დოცენტმა ა. ფურცვანიძემ. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. რატიანის გამოსვლა თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საკითხებს მიეძღვნა. საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე პასუხი გასცა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ს. მამულიამ, ხოლო ანტირელიგიურ თემაზე — ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ო. გაბიძაშვილმა.

მთელ რიგ დაავადებათა წინააღმდეგ საბჭოთა მედიცინის ბრძოლას და მკურნალობის თანამედროვე მდგომარეობას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ა. კუტუბიძემ და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა შ. გუგეშაშვილმა.

სურათზე: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მოწინავე მუშები მექურე გ. დავლაძე და ბრიგადირი — მდნობელი ვ. ქათამაძე, რომლებმაც ივლისის დავალება უკვე შეასრულეს.

ფოტო გ. გერსამიასი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

პარტიული ქრონიკა

რაიკომი და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა

ცხაკაია: ამას წინათ პარტიის ცხაკაიას რაიკომის ბიურომ განიხილა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდისა და დანერგვის ღონისძიებათა საკითხი. შარშან რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოწყობილმა „მოწინავეთა გამოცდილების დღემ“ დიდად შეუწყო ხელი მოწინავეთა მუშაობის ხერხებისა და მეთოდების დანერგვას.

რაიონში ბევრნი არიან მოწინავე მეწაიის ტ. ტყეებუჩავას და ნოვატორი მესიმინდის ბ. გვიჩიას მიმდევრები.

ამასთანავე რაიკომის ბიურომ აღნიშნა, რომ მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდისა და დანერგვის საქმეში გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს იმ ამოცანებს, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებით.

პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების მორიგი სემინარი გამართა.

მოხსენება — „პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ ზემდგომი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულების საქმეში“ გააკეთა საქალაქო კომიტეტის მდივანმა შ. თოთბერიძემ.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის ა. ქირიას მოხსენება „პარტიული ორგანიზაციების ამოცანები საანგარიშო-საარჩევნო კრებების ორგანიზებულად ჩატარების საქმეში“.

სკოლას სახალხო ზრუნვა

გულგრილობა თუ უპასუხისმგებლობა

ფოთი. ბავშვთა კურორტი მალთაყვა. მარადმწვანე მცენარეებით დაფარული ზღვისპირეთის ვრცელი ტერიტორია. აი ეს თვალწარმტაცი ადგილი შეარჩიეს ფოთელებმა ახალი სკოლა-ინტერნატის ასაგებად. მშენებლობა ჯერ კიდევ იანვარში უნდა დაწყებულიყო და ისეთი ტემპით წარმართულიყო, რომ 1 სექტემბრისათვის შესაძლებელი გამხდარიყო სკოლა-ინტერნატის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

გავიდა იანვარი, მაგრამ მშენებლები არ გამოჩენილან. არც თებერვალსა და მარტს მოჰყოლია რაიმე შედეგი, ვერ იქნა და ვერ მოხერხდა მშენებლობის დაწყება. მშენებლები საძირკველის გათხრასაც კი ვერ შეუდგნენ. საქმე ის არის, რომ „საქქალაქმშენსახპროექტის“ ბათუმის ფილიალმა პროექტი ვერ მოუმზადა მშენებლებს — კოლხიდმშენის № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს (უფროსი ო. გელუა). ნაწილი პროექტის მიღება მხოლოდ აპრილში მოხერხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილი ივნისის ბოლოს მიიღეს მშენებლებმა. მშენებლობის ხელმეკრულებაც გვიან, 28 აპრილს გაფორმდა მშენებელ ორგანიზაციასა და ფოთის განათლების განყოფილებას შორის.

ასე უქმად დაიკარგა ძვირფასი დრო. როგორც იქნა ოთხი თვის დაგვიანების შემდეგ დაიწყო მშენებლობა. მაგრამ თავდაპირველად მშენებლებმა ძალზე ნელი ტემპი აიღეს. საკმარისია ითქვას, რომ 28 აპრილიდან 1 ივლისამდე შესრულებულ იქნა მხოლოდ 7 ათასი მანეთის სამუშაო, ანუ მშენებლობის მთელი ღირებულების 2,6 პროცენტი.

მშენებლობის გეგმის შესრულებაში ასეთი ჩამორჩენა იქან გამოიწვია, რომ მშენებლობა უზრუნველყოფილი არ იყო მუშახელით და საშენი მასალებით.

ეს საკითხი პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. ბიურომ დასახა ღონისძიებანი მშენებლობის დასაჩქარებლად, და ამ მიმართულებით ზოგი რამ გაკეთდა. პირველ რიგში მიღებულ იქნა ზომები მუშახელით მშენებლობის უზრუნველსაყოფად. მართლაც მშენებლობაზე მოვიდნენ ახალი ადამიანები და მოეწყო ორ ცვლად მუშაობა. საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ბევრი ახალგაზრდა წავიდა მშენებლობაზე კომკავშირული საგზურით და თავდადებულად მუშაობს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან ვ. ლორჩოშვილი, ჯ. სახვიშვილი, ვ. სანიკიძე, ნ. ლოლუა, ს. კუტიბიძე და სხვები. ისინი სკოლის მერხიდან პირდაპირ სკოლა-ინტერნატის მშენებლობაზე გავიდნენ და ბეჯითად მუშაობენ.

მაგრამ მშენებლობის ვადაზე დამთავრება კვლავ სერიოზულ საფრთხეშია.

სამშენებლო ფრონტის ზრდასთან ერთად მშენებლობას კიდევ მეტი მუშახელი სჭირდება. 13 ივლისს მშენებლობაზე 70 კაცი მუშაობდა, მაშინ როცა ერთდროულად 130 კაცია საჭირო. მშენებლობა განსაკუთრებით დურგლების ნაკლებობას განიცდის. თხუთმეტის ნაცვლად ამჟამად ექვსი დურგალი მუშაობს. ყველა მათგანი გამოყენებულია სასწავლო კორპუსის მშენებლობაზე. სამეურნეო კორპუსის მშენებლობა კი მიტოვებულია დურგლების ნაკლებობის გამო.

მშენებლობა ძირითადად ხელით წარმოება. მშენებლობაზე არა აქვთ კოშკურა ამწე და სხვა აუცილებელი მექანიზმები, რაც იწვევს მშენებლობის გაძვირებას და მეტი მუშახელის დაბანდებას.

ბევრი რამ აკლიათ მშენებლებს. ისინი გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნიდან მიღებული აგურის თვრამეტ 50 პროცენტი უხარისხოა, ხოლო სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატიდან მიღებული სართულთაშორის გადასახურავი პემზაბეტონის ფილები დაბალი ხარისხისაა.

მშენებლებს აკლიათ რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები და დეტალები, აქ კი ასეთი კონსტრუქციები 550 კუბური მეტრი ესაჭიროებათ. არა აქვთ აგრეთვე 2.100 გრძივი მეტრი კაბელი, 180 კილოვატი სიმძლავრის ტრანსფორმატორი და სხვა მოწყობილობა სატრანსფორმატორო პუნქტის დასამონტაჟებლად.

ახალი წლის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. ფოთის სკოლა-ინტერნატის მშენებლობაზე კი შესრულებულია სამშენებლო სამუშაოთა მხოლოდ უმნიშვნელო პროცენტი. აღებული ტემპი ვერავითარ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს მშენებლობის დამთავრებას 1 სექტემბრისათვის.

პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტმა, ქალაქის საბჭოს აღმასკომმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ დაჩქარდეს სკოლა-ინტერნატის მშენებლობა, მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

≈≈○≈≈

ქარხნების სიახლე

ტყიბული. (საკ. კორ.). **კარგად ცხოვრობენ მეშახტეები. შრომის ანაზღაურებას ახალი ნორმები, რომლებიც ქვანახშირის მრეწველობაში შემოიღეს, დანაზოგების დგეროვების დიდ საშუალებას იძლევა. მეშახტეთა უმრავლესობა ამ დანაზოგით მსუბუქ ავტომანქანებს და მოტოციკლებს იძენს. დღეს ტყიბულის ტუჩებში სხვადასხვა ფერის მრავალი ახალი „ვოლგა“ და „მოსკვიჩი“ დაჰქრის. მათი მფლობელები მოწინავე მეშახტეები, წარმოების ნოვატორები არიან.**

დღემდე ტყიბულელ ავტომძღოლებს ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების მაღაზია არ ჰქონდათ. ახლა ეს ნაკლი გამოსწორდა. გაიხსნა მაღაზია, რომელმაც უკვე მიიღო პირველი პარტია სათადარიგო ნაწილები.

მაარჯვენის მაღლი

რუსპირი პატარა ქალაქს უფრო ჰგავს თავისი გზებითა და აივნიანი სახლებით, მხოლოდ ალუბლისა და ალუჩის ბაღები, ტოტებდაზნექილი ჭერმები და ოლოლობები თუ გაგრძნობინებენ, რომ აქ ისეთივე სოფელია, როგორსაც ძალიან ბევრს შეხვდებით ქართულ მიწაზე. და ახლა, როცა რუსპირის უნაპირო ბაღ-ვენახებს ვხედავ, მაგონდება ბავშვობა, როცა ფეხშიშველი მივყვებოდი ნაწვიმარ ბილიკებს, ოღრო-ჩოღრო გზებსა და შესახვევებს.

სოფელს გავცდით. მანქანის საჭეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მართავდა. გზადაგზა ამბავს ჰყვებოდა, უფრო გულისწყრომას გამოთქვამდა:

— სიმართლე უნდა ითქვას, არ მიყვარს უქნარა ადამიანები. ჩემს სოფელში კი ასეთები საკმარისად მოიპოვებიან. აი სწორედ დღეს დავაზუსტე მათი გვარები, კარგად უნდა შევისწავლო ყველანი. ვინც პატიოსან შრომაზე უარს იტყვის, ის საკადრის პასუხს მიიღებს. ახლა ხომ გვაქვს კანონი უქნარებთან საბრძოლველად.

როგორ გაბრდილა, გალამაზებულა სოფელი. ამაში იმ ადამიანთა ღვაწლია, ვინც შრომაში ათენებს და აღამებს.

თითქმის მეოთხედი საუკუნეა რუსპირის კოლმეურნეობას უცვლელად უძღვება საქულა ძამუკაშვილი და, რა გასაკვირველია, რომ ზეპირად იცის ყველა რუსპირელის მარჯვენის მადლი. ამ ხნის მანძილზე ერთიანად იცვალა სახე სოფელმა. მარტო ის რად ღირს, რომ მთელ რაიონში ყველაზე კეთილმოწყობილი საავადმყოფო რუსპირელებმა ააშენეს. აქვთ კლუბი, ამბონ, სკოლა, მაღაზია, ზეთის ქარხანა, საავეჯო ფაბრიკა, წისქვილი და სახერხი ქარხანა. ერთი, რაზედაც გულს სწყდება თავმჯდომარეს, სტადიონის უქონლობაა, მაგრამ ალბათ ესეც მალე მოგვარდება.

როცა თელავის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებს ასახელებენ, მათ შორის აუცილებლად პირველ რიგში რუსპირელებზე ჩამოაგდებენ საუბარს. შრომისმოყვარე ადამიანები ერთეულები როდი არიან. მათ შორის ზოგი მევენახეა, ზოგი მესიმინდე, მეცხოველე.

სწორედ ამ ადამიანთა თავდადებული შრომის შედეგია ის წარმატება, რაც თვალნათლივ ჩანს რუსპირში. მათ არაერთხელ უსახელებიათ თავი სახელმწიფოს წინაშე და ვერც ახლა უღალატებენ მიცემულ სიტყვას. მისდევენ მევენახეობა-მეღვინეობას, რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევენ. შვიდწლედში ვენახების ფართობი უნდა გადიდდეს 1,9-ჯერ, ყურძნის მოსავლიანობა — 2,2-ჯერ, ხოლო ღვინის წარმოება 2,5-ჯერ.

მევენახეობის წარმატებაში დიდი როლი ეკისრებათ რუსპირელებს, რომელთა კოლმეურნეობა ღირსეულად ატარებს „ყურძენ-თავთავის“ სახელწოდებას.

• • •

— ესეც ჩვენი ორხევი, — კმაყოფილებით თქვა თავმჯდომარემ და მანქანა გაიჩერა. თვალწინ გადაიშალა სიმინდის ვრცელი ყანები. ალაზნიდან მობერილი გრილი ნიავი საამოდ ესალბუნებოდა მინდვრის დედოფალს.

— კარგი მოსავალია, — დასძინა სკოლის დირექტორმა თამარ რეხილაძემ, რომელიც ჩვენთან ერთად წამოვიდა კანტორიდან, — ალბათ ასეთ სიმინდზე იტყვიან ხოლმე, ცხენიანი კაცი დაიმალებაო.

ბრიგადირი გიორგი მოდებაძე, რომელსაც აქამდე ხმა არ ამოუღია, პირველი გადმოვიდა მანქანიდან და სიმინდის ყანაში შევიდა.

— გვალვამ შეაწუხა, თორემ ამინდს რომ ხელი შეეწყო, მართლაც დამალავდა ცხენიან კაცს, — გაიმეორა მან..

— რას ვიზამთ, — განაგრძო თავმჯდომარემ, — სარწყავი ადგილები საერთოდ არა გვაქვს და ისევ ბუნების მოწყალებას უნდა ველოდოთ.

თუმცა რა ეტყობა გვალვისა ამ სიმინდეს. ალბათ, ალაზნისპირულმა სიგრილემ შეუნარჩუნა ეს ხასხასა ფერი.

მესიმინდეობა რუსპირის კოლმეურნეობაში არც ძველია და არც ახალი. ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატებს თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით სოფელში, სიმინდის მაღალ მოსავლს ვმირებს კი ამ რამდენიმე წლის წინათ ვერც იპოვნიდით.

რუსპირელები მიხვდნენ, თუ რა დიდი შემოსავლის მოცემა შეუძლია ამ კულტურას, დიდი დოვლათის წყაროა იგი, და დასახეს ღონისძიებანი მესიმინდეობის ფართოდ დანერგვისათვის.

ბაგალითი თვითონ ბრიგადირს უნდა ეჩვენებინა, და გიორგი მოდებაძემაც 40 ჰექტარი სიმინდის მოყვანა იკისრა. ჯერ კიდევ შარშან მან 604 შრომადღე გამოიმუშავა და ბევრს დაუმტკიცა, თუ როგორ აამაღლა სიმინდმა ბრიგადის წევრთა შემოსავალი.

წელს კოლმეურნეობას 190 ჰექტარი სიმინდი უთესია. აქედან მაღალმოსავლიანია მხოლოდ 120 ჰექტარი. რუსპირელები გვპირდებიან, რომ აქ საშუალოდ 60 ცენტნერ სიმინდს მიიღებენ.

— პირობას გავანაღდებთ, — ამბობს ბრიგადირი მოდებაძე და ასახელებს მოწინავე მესიმინდეებს, რომელთა წარმატების სჯერა გიორგის. ვიცი საქმეს კარგად წაუძღვებიან მარო და შუშანა ძამუკაშვილები, რუზანა მარკოზაშვილი, ნინო ხუციშვილი. პირობას ისინი გაანაღდებენ და ნამდვილად მისცემენ საშობლოს სიმინდის უხვ მოსავალს.

გვჯერა თავმჯდომარის სიტყვები, გვჯერა ყველასი, ვინც მიცემულ სიტყვას არასოდეს არ უღალატებს.

• • •

იდგა და ცას შეჰყურებდა ბორის თაგაური. აწეწილი ღრუბლები ნელა, თითქოს შეუმჩნევლად მიიზლაზნებოდნენ. გულში უხაროდა, იმედის ნაპერწკალი ენთებოდა ბრიგადირს.

მთელი თვეა ნამი არ ჩამოვარდნილა, ალა მეტი რა სადარდელი უნდა ჰქონოდა მევენახეს. ზვრები სანიმუშოდ არის მოვლილი. მაგრამ გამუდმებულმა გვალვამ თითქოს ერთნაირად მოტუსა ვაზები. ჰოდა, რა გასაკვირველია, თუ საავდრო ღრუბლების გამოჩენა ასე აღელვებდა თაგაურს.

ჯიბიდან ასანთი ამოიღო, პაპიროსს მოუკიდა და ვაზთა მწკრივებს ნელი ნაბიჯით გაჰყვა. მიდიოდა ვაზებშუა და ისევ თავისა ბრიგადის წევრებზე ფიქრობდა. ვინ იცის, იქნება ახლა ისინიც ამ ცას, ამ ღრუბლებს მისჩერებიან, ნეტავ წვიმა მოვიდესო. თაგაური „ყურძენ-თავთავის“ ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირია. 15 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი, რომელიც ამ ბრიგადას მიამაგრეს საუკეთესოა მთელ კოლმეურნეობაში. თვითონ ბრიგადირი სიტყვაძუნწი ბიჭია.

— აბა რა უნდა გითხრათ, ვშრომობთ და შედეგიც არა გვაქვს ცუდი. აი თუნდაც წელს — არაფერი მიგვიკლია ვაზისათვის, რიგთა შორის ხვნა და კულტივაცია უკვე ორ-ორჯერ ჩავატარეთ, 4-ჯერ ბორდო სითხით შევწამლეთ და გოგირდი შევაფრქვიეთ, ყველაფერი აგროტექნიკურ ვადებში ჩავატარეთ.

ბრიგადის წევრებმა კარგად იციან, რომ მათი სოფლის კოლმეურნეობა მოწინავე მევენახეთა სკოლაა. ისინი არასოდეს აღ-ივიწყებენ უკვე ხანდაზმულ სამსონ დანახულოვს, დავით სვანძეს და გიო ძამუკაშვილს, რომლებიც დღესაც ხალისით ემსახურებიან სისხლხორცეულად შეთვისებულ საქმეს — ვენახის მოვლა-პატრონობას, დღე-ნიადაგ თავდადებულად შრომობენ ვენახებში.

— მოწინავეების დასახელება არცთუ ისე იოლია, — ღიმილით ამბობს ბრიგადირი, — არ ვიცი, საიდან დავიწყო. აი თუნდაც ვალიკო როსტომაშვილი და გიგა გოგილაშვილი, ნინო ყალანდრიშვილი და ზინა ხანჯალიაშვილი, ნუნუ თანდილაშვილი და შოთა მათოზაშვილი. ყველანი მოწინავეები არიან. ჩვენს ბრიგადაში ერთი ყველას ჭგავს და ყველა ერთს. ბევრმა ახლახან დამთავრა საშუალო სკოლა და თავი გამოიჩინა შრომაში, ვენახის მოვლის საეკეთესო ოდნავ ამეღვანებს. ამის მაგალითია ირა პაპუნაშვილი.

ამ გოგონამ 1958 წელს დამთავრა საშუალო სკოლა. ჯერ ფერმაში მუშაობდა. შემდეგ ახალგაზრდულ ბრიგადაში. ირამ დიდი გამოცდილება შეიძინა, დღეს ისეთივე მოწინავეა, როგორც მისი თანატოლები.

დახუნძლულან კარგად მოვლილი ვაზები, ხარობს-რქაწითელი და საფერავი, ჯანაანურა და მწვანე. ვინ მოთვლის ყურძნის ჯიშებს! არაფერი აკლიათ, ოღონდ გვალვისაგან კი შეწუხდა მიწა, ხოლო ბრიგადის წევრებს, რომლებსაც თვითეული ვაზის ძირში ოფლის წვეთები ჩაუღვრიათ, აღელვებთ ბუნების გადაჭარბებული სიჯიუტე. ამიტომ არის, ასე რომ განიცდიან ცაზე საავდრო ღრუბლების გამოჩენას.

რა თქმა უნდა, ეს არც ბრიგადირს გაემტყუნება.

• • •

ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ რუსპირელები, რომ დროზე შეასრულონ შვიდწლედის დიდი პროგრამა. ხალისიან შრომაში მიდის ყოველი დღე. შესაცქერი ამ მზით გარეჯულ ადამიანებს, მადლიანი მარჯვენის პატრონებს, და სიხარულს ვერ მალავ. ისინი ხომ ჩვენი მომავლის ჩაუქრობელი შუქურები არიან.

ა. არსენიშვილი.
სოფელი რუსპირი.



ჩვენი ინტერვიუ

გათუმიდან

ი. ნოღაიდელი,
მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორი

მეოთხედი საუკუნის წინათ ჩვენმა ქარხანამ ჩაის ჯიბრველ მანქანების წარმოება აითვისა. ახლა ჩვენ ვამზადებთ ჩაის საჭრელ და ჩაის სამსხვრეველ მანქანებს, საფიქსაციო აპარატებსა და ჰიდროტემპერებს, საკუპაჟო დოლებსა და ჩასატკეპნ მანქანებს. მარდალეიშვილის ჩაის საღნობი აგრეგატი, რომელიც ჩაის წარმოების ტექნიკაში ახალ სიტყვას წარმოადგენს, ორასამდე ცალი დავამზადეთ. ამ აგრეგატებით მოვამარაგეთ საქართველოს, აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარის ყველა ჩაის ფაბრიკა. ახლა მათ ვაკეთებთ ჩაის იმ ფაბრიკებისათვის, რომლებიც შენდება. მათი წარმოების წლიური გეგმა მაისში შევასრულეთ. უკანასკნელ ხანს დავაჩქარეთ აწყობის პროცესი და თხუთმეტი პროცენტით შევამცირეთ აგრეგატის წონა.

ჩვენ დიდი ხანია ვუშვებთ ჩაის ფოთლის საგრეხ როლერებს. უკვე ათას ცალზე მეტი დავამზადეთ. როლერის კონსტრუქციას განუწყვეტლივ ვუმჯობესებთ. განუწყვეტელი მოქმედების ახალ როლერს მუშაობა შეუძლია დიდი და მცირე სიჩქარით, მისი წარმადობა 15 პროცენტით გადიდდა, წონა 10 პროცენტით შემცირდა. მისი წარმოების წლიური პროგრამა უკვე გადაჭარბებით არის შესრულებული, 94 ცალის ნაცვლად დამზადებულია 106 ცალი.

კარგად არის მოწყობილი ჩაის სახარისხებელი მანქანების წარმოება. ისინი უკვე ოთხასამდე ცალი დავამზადეთ. ჩვენმა საკონსტრუქტორო ბიურომ შარშან ცვლილებები შეიტანა ამ მანქანის კონსტრუქციაში, მანქანა უფრო მდგრადი გახდა, მისი წარმადობა 12 პროცენტით გადიდდა. სახარისხებელი მანქანების წარმოების წლიური გეგმა ვადაზე ადრე შევასრულეთ.

წელს ჩვენ ბევრი ახალი სახეობის პროდუქცია გვაქვს. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მანქანათა გასაღების მთავარი სამმართველოს დაკვეთებით დავიწყეთ გამოშვება წვნის მისაღები სამსხვრეველებისა საკონსერვო ქარხნებისათვის. მათი წარმადობა დიდია — მანქანა საათში რვა ტონას ამსხვრევს.

ავითვისეთ ერთი ტონა სიმძლავრის სადრესელი მანქანის წარმოება. მისი დანიშნულებაა ტომატის პასტის გამომუშავება. მანქანა პატარაა, კომპაქტური, გადასატანი, გამოსადეგია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

ამჟამად ვმუშაობთ ხილისა და ბოსტნეულის დასაკალიბრებელი მანქანის და ტყემლის დასაკალიბრებელი ავტომატის ათვისებაზე.

ქარხანა საექსპორტოდაც მუშაობს. ჩვენ გავაკეთეთ და გავგზავნეთ კომპლექტი მანქანებისა ვიეტნამის ჩაის ორი ფაბრიკისათვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას გაეგზავნა ჩაის გადასამუშავებელი ქართული მანქანების ნიმუშები. ბულგარეთში გავგზავნეთ მანქანები ღვინის მრეწველობისათვის, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში — მანქანები საკონსერვო ქარხნებისათვის. ავდანეთში ვგზავნით ცომის დამყოფ ავტომატებს.

პ. ჯორბენაძე,
გემოსაშენებელი ქარხნის დირექტორი

ამჟამად ქარხნის ძირითადი პროდუქციაა „ვოლგის“ ტიპის წყალქვეშაფრთიანი კატარღები. ეს სწრაფმავალი კატარღა კი არ ცურავს, არამედ მისრიალებს ზღვის ზედაპირზე და საათში სამოც კილომეტრამდე სისწრაფეს ავითარებს. ფოლადის სიბრტყეები — ფრთები, რომლებსაც იგი ეყრდნობა, ამდენად მაღლა სწევენ მას, რომ ფსკერი წყალს არ ეხება. ხომალდი მეტად მდგრადია, კარგად დადის შტორმის დროს, არ წარმოქმნის ტალღებს. ასეთ კატარღებზე მოთხოვნილება მეტად დიდია, მათ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ვგზავნით.

ჩვენი მეორე სიახლეა მინაპლასტიკის გლისერები. მინაპლასტიკი ახალი სამშენებლო მასალაა, რომელსაც პირველად იყენებენ სამოქალაქო ნაგებობებზე. მასალა იმდენად მაგარია, რომ შიგ ლურსმანს ვერ ჩაარჭობ. იგი არა ლპება, კოროზიას არ განიცდის. წყალში არ იჯიჯვება, ზედ არ ეკვრის წყალმცენარეები და ნიჟარები. ეს მარადიული ხომალდია, თუმცა იგი ხუთჯერ უფრო მსუბუქია ფოლადისაზე.

მინაპლასტიკი ქარხანას გაათავისუფლებს წითელი სპილენძის და დეფიციტური არქტილიტის ხარჯვისაგან. მუშახელზე საჭირო ხარჯები ორჯერ შემცირდება. პირველი მსუბუქი ლამაზი გლისერი მზად იქნება მესამე კვარტალში.

საექსპერიმენტო საამქროში თოვლივით თეთრი კარჭაპების გვერდით აღმართულია 40-ადგილიანი სამგზავრო კატარღის კორპუსი. ისიც მინაპლასტიკისაგან არის გაკეთებული. კატარღის ზედი მომინულია, ფანჯრები იღება. კორპუსი ლურჯია, გემბანი — ცისფერი. ეს კომფორტაბელური და ფრიად მოხერხებული საწყლო ტრამვაი გარეგნულად ტროლეიბუსსა ჰგავს და განკუთვნილია საქართველოს დედაქალაქისათვის. ამ კატარღით თბილისელები მალე ისეირნებენ მტკვარზე.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს მთავარი საფოსტო სამმართველოს დაკვეთით ვაშენებთ საფოსტო გლისერ — აერომარხილს. ამ ყველგანმავალს შეუძლია საათში 60-75 კილომეტრი სისწრაფით ცურავა და რბენა წყალში, ყინულზე თუ თოვლზე. გლისერი — აერომარხილი შეიძლება გამოყენებულ იქნას ფოსტის მისატანად ყამირ მიწებზე და ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში ზამთრობით, როცა სხვა სახეობათა ტრანსპორტით მიტანა ფოსტისა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

შ. ჰილაია,
ქარხანა „ელექტროხელსაწყოს“ დირექტორი

ჩვენი ქარხანა ახალგაზრდაა. ბირველი ლაბორატორიული ავტოტრანსფორმატორი „ლატრ-1“ 1959 წლის 30 სექტემბერს გამოვუშვით. ეს ტრანსფორმატორები ძალიან ესაჭიროება სახალხო მეურნეობას, მათზე დიდი მოთხოვნილებაა. ახლა ჩვენ ორამპერიან და ცხრაამპერიან „ლატრ“-ებს ვუშვებთ. ეს საქმე შევისწავლეთ. გავაუმჯობესეთ ტექნოლოგია, ვიყენებთ ავტომატიზაციას. შრომის დანახარჯი ერთი ტრანსფორმატორის გამოშვებაზე სამჯერ-ოთხჯერ შეგამცირეთ. წელს გეგმით უნდა გამოვუშვათ 80 ათასი ცალი, გამოვუშვებთ სულ ცოტა 90 ათას ცალს. 1965 წლისათვის დავისახეთ გამოვუშვათ 300 ათასი ცალი „ლატრ“-ი.

ჩვენი მანქანები ახლა საზღვარგარეთ იგზავნება. „ლატრ“-ებს ვგზავნით საფრანგეთში, იტალიაში, ინდოეთში, ჩინეთში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, კუბაში, ბულგარეთში, მოვაგვარეთ აგრეთვე გემის ტრანსფორმატორების წარმოება. ისინი საინტერესოა იმით, რომ შეუძლიათ მუშაობა წყალქვეშ, ზღვის ფსკერზე, ჰაეის ყველა პირობაში. წელს ვაპირებთ გამოვუშვათ შვიდი ათასი ტრანსფორმატორი. მაისის დამლევს მოსკოვის ტრანსფორმატორთა ქარხანაში გავგზავნეთ მუშებისა და ინჟინრების ჯგუფი ამ ახალი საქმის შესასწავლად.

ხელს ვკიდებთ უფრო დიდი — ათ კილოვატამდე სიმძლავრის

საერთაშორისო
დეკანოზი, ცნობილი, მეიმოსილეობა
ცხოვრება

საბჭოთა კავშირი — დიადი მაგალითი

ხალხს არ შეუძლია მეტი ლოდინი

ეკვადორის ვიცე-პრეზიდენტის განცხადება

პანანა, 16 ივლისი. (საკდესი). ეკვადორის ვიცე-პრეზიდენტმა და ეროვნული კონგრესის თავმჯდომარემ კარლოს ხულიო აროსემენამ აღნიშნა, რომ ეკვადორში შეიქმნება ეროვნული სახალხო ფრონტი.

როგორც პრენსა ლატინას სააგენტო კიტოდან იუწყება, აროსემენამ განაცხადა, რომ მთელ თავის ძალღონეს მოახმარს დიადი მოძრაობის შექმნას, რომელიც გაერთიანებს ამ ქვეყნის დემოკრატიულ ძალებს, მათ შორის კომუნისტურ პარტიას, სოციალისტურ პარტიას, მუშების, გლეხებისა და სტუდენტების და სხვა ორგანიზაციებს.

ეკვადორის ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც მეთაურობდა პარლამენტის დელეგაციას, საბჭოთა კავშირში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში რომ იყო, აეროდრომზე შეხვდა ათასობით ეკვადორელი. კიტოს ცენტრალურ მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი.

„სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც ჩვენ ვიყავით, არსებობს გულწრფელი სურვილი — გააფართოონ ურთიერთობა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, — განაცხადა აროსემენამ მიტინგზე, როცა დამსწრეთ გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი მგზავრობის შესახებ.

„თუმცა მე კომუნისტი არა ვარ, — აღნიშნა მან შემდეგ, — ვაღიარებ, რომ სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენს ქვეყანაში“.

აშკარად მხედველობაში ჰყავდა რა ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ჩადიან შეერთებულ შტატებში და თხოულობენ სესხს კონცესიების სანაცვლოდ, რაც ბღალავს ეროვნულ სუვერენიტეტს, აროსემენამ განაცხადა: „მე არ ჩამომბატანია დოლარები, მაგრამ სამაგიეროდ არ შემიბღალავს არც ეროვნული ალმის ღირსება“.

დასასრულ აროსემენამ მოუწოდა პრეზიდენტ ვილასკო იბარას მიიღოს სასწრაფო ღონისძიება, რათა გაუმჯობესოს ხალხის კეთილდღეობა. „ხალხს, ხაზგასმით აღნიშნა მან, — არ შეუძლია მეტი ლოდინი“.

კორეის დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა

ფხენიანი, 15 ივლისი (საკდესი). დღეს სამშობლოში ჩაბრუნდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ამხანაგი კიმ ირ სენი.

დელეგაციის ჩამოსვლისთანავე ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა 300 ათასიანი მიტინგი, რომლის მონაწილენი გულთბილად და გულითადად მიესალმნენ თავიანთ წარმომადგენლებს.

სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შედეგების შესახებ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა ამხანაგმა კიმ ირ სენმა.

კიმ ირ სენმა მადლობა გამოთქვა გულთბილი მიღებისათვის, რაც დელეგაციას გაუმართეს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, და კორეელი ხალხის სახელით ძმური სალამი გადასცა საბჭოთა და ჩინელ ხალხებს.

უამბო რა დამსწრეთ საბჭოთა და ჩინელი ხალხების წარმატებებზე, კიმ ირ სენმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საბჭოთა კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ხელშეკრულებების დადება ვიზიტების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია. ეს ხელშეკრულებები წარმოადგენს დოკუმენტურ გამოხატულებას მტკიცე გადწყვეტილებისა ბოლომდე დავეხმაროთ ერთმანეთს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმის, კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში. ამ ხელშეკრულებებს თავდაცვითი ხასიათი აქვთ და მათი მიზანია მშვიდობის დაცვა კორეაში, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში.

ჩვენ, განაცხადა დასასრულ კიმ ირ სენმა, გვყავს მარქსისტულ-ლენინური პარტია, გვაქვს რევოლუციური ბაზა პოლიტიკური და ეკონომიური საფუძველებით. ჩვენთან არიან ჩვენი დიდი და საიმედო მოკავშირე მეზობლები — საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სოციალისტური ბანაკი და მშვიდობისმოყვარე ხალხები, ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ სამშობლოს მშვიდობიან გაერთიანებას. ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი, რომელსაც მაღლა უჭირავთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა, საიმედოდ დაიცავენ სოციალისტური ბანაკის აღმოსავლეთ ფორპოსტს.



შტრაუსის მოლაპარაკება

ვაშინგტონი, 15 ივლისი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი შტრაუსი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება ეგრეთწოდებულ „საინფორმაციო ვიზიტად“, გუშინ ვაშინგტონში მოლაპარაკებას აწარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრ მაკნამარასა და მის უახლოეს თანაშემწეებთან.

შესვენების დროს შტრაუსმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა, რათა მიაღწიოს ამერიკის 165 მილიონამდე დოლარის საკუთრების ახალ მიწოდებებს დასავლეთ გერმანიისათვის. მან დამატებით, რომ დასავლეთ გერმანიას სურს შეერთებული შტატებისაგან მიიღოს მართული ბალისტიკური ყუმბარები „პერშინგი“, რეაქტიული ავიაგამანადგურებლები „ფ-104 სტარფაიტერი“,

ამერიკა ეგღაუჭება დრომოჭმულ სტრუქტურას

ვაშინგტონი, 15 ივლისი. (საკდესი). აქ გამართულ პრესკონფერენციაზე წაიკითხეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის მიერ მოწოდებული განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის რასკისა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ დაეთანხმებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ წამოყენებულ წინადადებას, რომ საჭიროა შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანო სამი პირის შემადგენლობით, რომლებიც იქნებიან თანამედროვე მსოფლიოში არსებულ სახელმწიფოთა სამი ძირითადი ჯგუფის წარმომადგენელნი.

როგორც რასკის განცხადებიდან ჩანს, შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ კვლავაც ყოველი ღონე იხმაროს, რათა შეინარჩუნონ იმპერიალისტური სახელმწიფოების ბატონობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარატში, თუმცა ეს ბატონობა ემუქრება ამ საერთაშორისო ორგანიზაციის თვით არსებობას.

ა. აიენგარი: ჩემი თვალით ვნახე...

დელი, 15 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა ხალხის სანუკვარი სურვილი — მსოფლიო უომოდ — ასეთია მთავარი შთაბეჭდილება, რომელიც გამოიტანა საბჭოთა კავშირში ამასწინანდელი მოგზაურობიდან ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის თავმჯდომარემ ა. აიენგარმა.

სიტყვა წარმოთქვა რა მიტინგზე სამხრეთ ინდოეთის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრში — მადრასში, ა. აიენგარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა კავშირის ხალხთა მისწრაფებამ მშვიდობისადმი. „როცა საბჭოთა ადამიანები ლაპარაკობენ იმაზე, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს ომსა და მისი წარმოების საშუალებებს, — აღნიშნა ა. აიენგარმა, — ისინი ითვალისწინებენ არა მარტო თავიანთ ეროვნულ ინტერესებს, არამედ აგრეთვე მთელი კაცობრიობის ინტერესებს. საბჭოელს სურთ მშვიდობა იმიტომ, რომ იციან რა გამანადგურებელი იქნება ომი ყველა ადამიანისათვის, მთელი კაცობრიობისათვის“.

ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის თავმჯდომარემ სასაცილოდ აიღო დასავლეთის ზოგიერთი წრეების მტკიცება, რომ საბჭოთა კავშირს თითქოს თავისი „სისუსტის“ გამო სურს მშვიდობა. ასეთი შეხედულება, განაცხადა ა. აიენგარმა, უმეცრებისა და იმის ნიშანია, რომ წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რა გააკეთა ამ ბოლო დროს საბჭოთა კავშირმა.

ა. აიენგარმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ხალხის მიღწევებს მშვიდობიან მშენებლობაში. მან აღნიშნა, რომ „საბჭოთა სახელმწიფო და ხალხი გახდნენ ერთი მთლიანი“ რევოლუციის მეოხებით, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოხდა.

ორატორმა განაცხადა, რომ ინდოეთს „შეუძლია გადმიიღოს და კიდევაც უნდა გადმიიღოს ბევრი რამ სასარგებლო, რაც საბჭ.თა კავშირში განხორციელდა“. მან აღნიშნა, კერძოდ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძალიან სწრაფი ზრდა საბჭოთა კავშირში შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობაში კოლექტივიზაციის პოლიტიკის მეოხებით. სწორედ ასევე, აღნიშნა მან, ინდოეთმა დასაბამი უნდა მისცეს სოფლის მეურნეობის კოლექტიურ წარმოებას.

ბომბეიში მასობრივ მიტინგზე სსრ კავშირში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გაუზიარა დამსწრეთ ინდოეთის გენერალურმა პროკურორმა მ. ი. სეტალვადმა.

„საბჭოთა კავშირმა, — განაცხადა მან, — ფენომენალურ და უმაგალითო პროგრესს მიაღწია მსოფლიოს ისტორიაში. არ არის უფუშეკრობა, მაგრამ ადამიანებს სურთ კიდევ უფრო მეტი იშრომონ. იქ არ არის უწიგნურობა, ხოლო განათლება უფასოა — სკოლიდან უნივერსიტეტამდე“.

ორატორმა თქვა, რომ თავისი თვალით ნახა საბჭოთა სასამართლო სისტემა მოქმედებაში სსრ კავშირში ამასწინანდელი ვიზიტის დროს. ინდოეთის გენერალურმა პროკურორმა აღტაცებით ილაპარაკა საბჭოთა სასამართლო ორგანოების ჰუმანიზმზე.

ბომბეიში მიტინგზე გამოვიდა აგრეთვე ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის განვითარების საზოგადოების ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი დოქტორი ა. ბალიგა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

კატასტროფა ინგლისში

□ **ლონდონი,** 17 ივლისი. (საკდესი). 7 მოკლული, 70 დაჭრილი — ასეთია სავალალო შედეგი რკინიგზის კატასტროფისა, რომელიც გუშინ მოხდა უიტონის (ლანკაშირის) ახლოს სამგზავრო და სატვირთო მატარებელთა დაჯახების გამო. მოკლულთა შორის არის სამგზავრო მატარებლის მემანქანე და მისი თანაშემწე.

მამაცური საქციელი

□ **ნიუ-იორკი,** 17 ივლისი. (საკდესი). განძემული ნიაგარის ჩანჩქერი მეხუთეჯერ დაიმორჩილა გაბედულმა ადამიანმა. ამჯერად სარისკო „ნახტომი“ 48 მეტრი სიმაღლიდან ბობოჟარ ნაკადთან ერთად გაკეთდა ნიშნად პროტესტისა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ნატან ბოიამ, 30 წლის ზანგმა (ნიუ-იორკი) მიიბა თავი ფოლადის კარკასიანი დიდი რეზინის ბურთის შიგნით. ხოლო მეგობრებმა ბურთი მდინარე ნიაგარით ჩანჩქერამდე მიიყვანეს. ბურთს ჰქონდა ყანგბადის აპარატი, სასუნთქავად. ბოიამ მშვიდობით ჩავიდა, რის შემდეგ გახსნა სანათური და მიესალმა განცვიფრებულ მაყურებლებს.

როცა პოლიციამ იგი ნაპირზე გაიყვანა, ბოიამ განაცხადა ეს გმიროობა ჩავიდინე, რათა დამემტკიცებინა, რომ ჩანჩქერი არა მარტო თეთრკანიანებს, არამედ ზანგებსაც ეკუთვნის.

უმაგალითო წყალდიდობა

□ **ლონდონი,** 17 ივლისი. (საკდესი). ამ უკანასკნელ ათწლეულში ყველაზე ძლიერი წყალდიდობის შედეგად ინდოეთში დაიღუპა 200-მდე კაცი და უსახლკაროდ დარჩა 100 ათასზე მეტი კაცი. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი დელიდან იუწყება, რომ ასობით ჯარისკაცი და მუშა აწყობს ქალაქ პუნის (მაჰარაშტრის შტატი) ელექტრომომარაგებასა და წყალმომარაგებას. პუნაში წყალმა დაფარა ქუჩები, სავაჭრო ცენტრი და მეგზოროდ დასახლებული რაიონი, დაიღუპა 32 კაცი და მოხდა დაახლოებით 150 ძილიონი რუპიის ზარალი. ამჟამად წყლის დონე ქალაქში კლებულობს, მაგრამ ნორმალური ცხოვრება მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყება.

კერალის შტატის ჩრდილოეთ რაიონებში ძლიერი წყალდიდობის გამო დაიღუპა 85 კაცი. მადრასის შტატში 233 სოფელი დღემდე წყალქვეშ არის, ხოლო ქალაქ ტანჯორში, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა წყალდიდობამ, 100 ათასი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა. 6 ათასამდე ოჯახი დარჩა უსახლკაროდ ასამის შტატში ბრამაპუტრის ნაპირებიდან გადმოსვლის გამო. წყალმა დაანგრია ასამის გზატკეცილი, დანარჩენ ინდოეთს მოწყვეტა ნავთობის ცენტრები — დიბრუგარჰი და ნაჰარკოტია.

ეროვნული

ერთი თვის წინათ ინგლისმა თავის ერთ-ერთ კოლონიას — ნავთობით მდიდარ პროტექტორატ კუვეიტს დამოუკიდებლობა „უბოძა“. მაგრამ რამდენიმე დღეც არ გასულა, რომ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე კვლავ შეიყვანილ იქნენ ტანკებით, რეაქტიული თვითმფრინავებითა და ომის წარმოების სხვა თანამედროვე საშუალებებით შეიარაღებული ინგლისელთა ჯარების მნიშვნელოვანი კონტინგენტები.

ჯარების გადასხმას კუვეიტის ტერიტორიაზე და სამხედრო ფლოტის კონცენტრაციას ამ რაიონში ახასიათებდნენ ერაყის შეიარაღებული ძალებისათვის წინააღმდეგობის გაწევის საჭიროებით. მაგრამ ცნობილია, რომ კუვეიტის ტერიტორიაზე ერაყის არავითარი ჯარები არ არის. ერაყის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი არ აპირებდა და შემდეგშიც არ აპირებს განახორციელოს რაიმე შეიარაღებული მოქმედება კუვეიტის მიმართ და ძალით დაამყაროს თავისი უფლება ამ რაიონში.

როგორც გვიჩვენა დისკუსიამ უშიშროების საბჭოში, რომელმაც კუვეიტის საკითხი განიხილა, ინგლისის ჯარების შეყვანა ამ ქვეყანაში დაუფარავ კოლონიურ ინტერვენციას წარმოადგენს. ბევრი მცირე ქვეყანა, უწინარეს ყოვლისა კი ის ქვეყნები, რომლებიც უშუალო მეზობლები არიან იმ რაიონისა, რომლის ოკუპაცია მოხდა, კატეგორიულად წინააღმდეგია იმისა, რომ ამ რაიონში ინგლისის ჯარები იმყოფებოდნენ. ხალხები მოითხოვენ ამ ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას კუვეიტიდან.

სურათზე, რომელიც მოგვყავს ინგლისურ ეურნალ „სფირიდან“, ვხედავთ ინგლისის საზღვაო „კომანდოსებს“ კუვეიტის აეროპორტში.

სენატორთა საომარი მოწოდებანი

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. (საკდესი). ზოგიერთ სენატორ-რესპუბლიკელ რძობს საომარ მოწოდებებს.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, სენატორმა-რესპუბლიკელმა კიტინგმა მოუწოდა პრეზიდენტ კენედის გერმანიაში დამატებით გაგზავნოს ამერიკის ჯარები, რათა „მხარი დაუჭიროს დასავლეთის პოზიციას ბერლინში“. მან მოუწოდა აგრეთვე გამოაცხადონ ნაწილობრივი მობილიზაცია.

სენატორმა ჯავიკ ჯავიტსმა (რესპუბლიკელი, ნიუ-იორკის შტატი) განაცხადა: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა მოითხოვონ, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი.

მდგომარეობა კონგოში

პარიზი, 17 ივლისი. (საკდესი). კონგოს პარლამენტის სესიაში მონაწილეობის მისაღებად (იგი დღეს იხსნება) გუშინ აღმოსავლეთ პროვინციიდან, რომელიც კონგოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის კონტროლს ექვემდებარება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თვითმფრინავით ლეოპოლდვილს ჩავიდა პარლამენტის 31 წევრი. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, დეპუტატთა ამ ჯგუფს მეთაურობს განსვენებული პატრის ლუმუმბას შემცვლელი „კონგოს ეროვნული მოძრაობის“ პარტიის თავმჯდომარის პოსტზე კრისტოფ გბენიე.

აღმოსავლეთ პროვინციის წარმომადგენლები დაუყოვნებლივ მიიყვანეს ვერტმფრენით უნივერსიტეტ „ლოვანიუმში“, ლეოპოლდვილის მახლობლად, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების დაცვით გაიმართება პარლამენტის სხდომები.

პარიზი, 17 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, გუშინ ნაშუადღევს მიწაზე დაეშვა კიდევ ერთი თვითმფრინავი სტენლიველიდან, რომელმაც კონგოს რესპუბლიკის პარლამენტის 42 წევრი ჩაიყვანა. პარლამენტის ჩასულ წევრთა შორის არიან კონგოს რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე ჟოზეფ კასონგო და პატრის ლუმუმბას მთავრობის ინფორმაციის უოფილი მინისტრი ანისეტ კაშამურა,

დღეს თურქეთში

თურქეთის პოლიტიკურ წრეებში უკანასკნელ ხანს უფრო ხშირად უბრუნდებიან ქემალ ათათურქის სახელს. ეს გასაგებიც არის. მუსტაფა ქემალი იბრძოდა თურქეთის განთავისუფლებისათვის, მისი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. მისმა დევიზმა „მშვიდობა ქვეყნის შიგნით და მშვიდობა მთელ მსოფლიოში“ ღრმა კვალი დატოვა ხალხის მეხსიერებაში.

ქემალის დევიზით ჩაუდგა სათავეში ხელისუფლებას ჯემალ გიურსელის ალანდელი მთავრობაც. ამიტომ თურქეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეები მიესალმნენ ახალ ხელისუფლებას. მაგრამ მისალმება ნაადრევი აღმოჩნდა.

უკანასკნელი წლის განმავლობაში ათზე მეტი პარტიის გაჩენა მოწმობს პოლიტიკურ დაქსაქსულობას, რასაც ამჟამად თურქეთში ვხედავთ. სახალხო-რევოლუციური პარტია პირველი პარტია იყო, რომელმაც გადაუხვია თავისი შემქმნელის პრინციპებს.

ხალხს არ უპატიებია ეს განდგომა. 1950 წელს სახალხო-რევოლუციურმა პარტიამ არჩევნებში დამარცხება განიცადა და ხელისუფლების სათავეში მოექცა ბაიარ-მენდერესის დემოკრატიული პარტია. მაგრამ ისიც აგრესიული პოლიტიკის გზას დაადგა, თურქეთის ბედი დაუკავშირა სამხედრო ბლოკებს და გადააქცია იგი დასავლეთის ბლოკის სამხედრო ბაზად, რომელიც მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ხალხს არ უპატიებია ეს განდგომაც. 1960 წლის 27 მაისს დემოკრატიული პარტიის ხელისუფლება დამხობილ იქნა. სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ძალაუფლება აიღო გიურსელის მთავრობამ. როგორც სახალხო-რევოლუციური პარტიის, ისე დემოკრატიული პარტიის პოლიტიკის გამო ხალხის მასების დიდი იმედგაცრუების ვითარებაში, ხალხისათვის ერთადერთი მისაღები პრინციპი იყო დევიზი „უკან ათათურქისაკენ“. სწორედ ეს პრინციპი მიიღო გიურსელმა ხელისუფლების სათავეში ჩადგომის პირველ დღეებში.

მაგრამ დრომ ცხადყო, რომ ამ პრინციპის განხორციელებაში ერთიანობა არ არის არა მარტო ქვეყანაში, არამედ თვით მთავრობაშიც. სანამ ეროვნული ერთიანობის კომიტეტში, რომელიც ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა, შედიოდა 14 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი პოლკოვნიკ ალპარსლან თურქეშისა, იგი, ისევე როგორც წინა ხუთ წელიწადში, იბრძოდა იმისათვის, რომ ბოლო მოეღო თურქეთის ატლანტიკური რეჟიმისათვის. იგი მოითხოვდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას და შინაგანი სოციალური რეფორმების, პირველ რიგში აგრარული რეფორმის განხორციელებას. მაგრამ როცა 1960 წლის ნოემბერში ეს ჯგუფი გამოყვანილ იქნა კომიტეტის შემადგენლობიდან, ხოლო მისი წევრები გაგზავნილ იქნენ კონსულტანტებად თურქეთის საელჩოებში საზღვარგარეთ, კომიტეტში უმრავლესობაში აღმოჩნდნენ სახალხო-რევოლუციური პარტიის წევრები.

იმასთან დაკავშირებით, რომ მომდინარე წლის იანვარში ნებადართულ იქნა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა და ახალი კონსტიტუციის გამოსაშუშავებლად მუშაობა დაიწყო დამფუძნებელმა კრებამ, სახალხო-რევოლუციურმა პარტიამ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა თურქეთში. დემოკრატიული პარტია განადგურებულ იქნა, ხოლო მისი ხელმძღვანელი მოღვაწეები 500 კაცის რაოდენობით დაუპატიმრეს და კუნძულ იასიადაზე ასამართლებენ.

დ. ამხარე ძალები

ლონდონი, 15 ივლისი. (საკდესი). გუშინ ტუნისში თვითმფრინავებით ჩაიყვანეს 600 ფრანგი პარაშუტისტი საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზის ძალების გასამაგრებლად ბიზერტაში. საფრანგეთის დამხმარე ძალები ჩაიყვანეს რამდენიმე საათში მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ჰაბიბ ბურგიბამ მიტინგზე განაცხადა, რომ უნდა მოხდეს ამ სამხედრო ბაზის ევაკუაცია.

18 ივლისს 25 წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც დაიწყო (1936 წ.). ესპანელი ხალხის ეროვნულ-რევოლუციური ომი ფაშისტი მეამბოხეებისა და იტალიელ-გერმანელი ინტერვენტების წინააღმდეგ.

• • •

სურათზე: დოლორეს იბარური რესპუბლიკური ჯარების მებრძოლთა შორის.

საერთაშორისო თემაზე

ამბავს ქემალის ბიზნეს იყო გიურსელის მთავრობის დამხობა ან ყოველ შემთხვევაში მისი დაშინება და სასამართლო პროცესზე ზეგავლენის მოხდენა. შეთქმულნი დევერსიული და ტერორისტული აქტების ძიმზადებას ვეღ გაბედავდნენ, ოკეანის გაღმიდან მფარველთა ხმარა-ჭერის ამედი რომ არ ჰქონოდათ. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ, ახლანდელი მთავრობა უფრო ენერგიულად რომ შეადგომოდა მენდერესის მოღალატური პოლიტიკისა და ამერიკის იმპერიალიზმთან მისი კავშირის გამოაშკარავებას, ეს ხელს შეუწყობდა თურქეთში შინაპოლიტიკური ატმოსფეროს გაჯანაღებას.

მაგრამ თვით გიურსელის მთავრობა იცავს თურქეთის იმ სამოკავშირეო ვალდებულებებს, ატლანტიკის ბლოკისა და სენტოს ხაზით, რომლებიც ბაიარ-მენდერესის მთავრობამ იკისრა. ეს ზღუდავს იმის შესაძლებლობებს, რომ ებრძოლონ მენდერესის მომხრეებს, რომელთა საქმიანობა მოსახლეობის კანონიერ შეშფოთებასა და პროტესტებს იწვევს.

ამას წინათ სტამბოლში, ანკარასა და იზმირში დიდი დემონსტრაციები მოეწყო. დემონსტრანტებმა სტამბოლის ქუჩებში გაიარეს ათათურქის პორტრეტებით და ლოზუნგებით, რომლებითაც მოითხოვდნენ ძველი რეჟიმის მომხრეთა მოსპობას.

ამ დღეებში თურქეთის საზოგადოებრიობა განსაკუთრებული ყურადღებით იღებს ათათურქის ლოზუნგებს და პროტესტს აცხადებს ამ ლოზუნგებისაგან გადახვევის წინააღმდეგ. თურქული პრესა პარალელს ავლებს ათათურქის მისწრაფებებსა და მის მემკვიდრეთა პოლიტიკას შორის. ეს პარალელები ფრიად საგულისხმოა ახლანდელ მომენტისათვის მეჯლისის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

9 ივლისს თურქეთში გაიმართა რეფერენდუმი ახალი კონსტიტუციის დასამტკიცებლად. 13,5 მილიონი ამომრჩეველისაგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10 მილიონმა კაცმა, სიაში შეტანილთა საერთო რიცხვის 75 პროცენტმა, არასრული ცნობებით ახალი კონსტიტუციის პროექტს, რომელიც მოიწონა დამფუძნებელმა კრებამ, ხმა მისცა დაახლოებით 6 მილიონმა კაცმა, ოთხმა მილიონმა თურქმა კი უარყოფითი პასუხი გასცა.

ახალი კონსტიტუციის ტექსტიდან ამოღებულია მითითება იმის შესახებ, რომ თურქეთი არის „რევოლუციური“, „ეტატისტური“ (რომელიც ერევა ეკონომიკაში) სახელმწიფო.

არ გამართლდა თურქეთის მოწინავე ფენების იმედები, რომ შეიცვლებოდა ამ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. არ განხორციელდა აგრარული რეფორმა, გრძელდება პროგრესული ელემენტების დევნა.

ყოველივე ამან გავლენა მოახდინა ამომრჩეველთა დამოკიდებულებაზე რეფერენდუმისადმი.

ნაცვლად ქემალისტური პოლიტიკისა, რომელიც გულისხმობდა მეგობრობასა და კეთილმეზობლურ ურთიერთობას ყველა სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით მეზობელ სახელმწიფოებთან, — მტრული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის, ეგვიპტის, სირიისა და ერაყის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ასეთმა ანტიხალხურმა პოლიტიკამ თურქეთი ეკონომიური და პოლიტიკური კატასტროფის პირას მიიყვანა. ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნით თურქეთი ინახავს ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან არმიას ატლანტიკის ბლოკის სისტემაში. არმიის შენახვასა და შეიარაღებაზე მენდერესის დროს თურქეთის სახელმწიფო სახსრების 55 პროცენტი იხარჯებოდა. იმ 10 წელიწადში, რაც მთავრობას სათავეში ედგა მენდერესი, სამხედრო ხარჯებმა 4,3 მილიარდი დოლარი შეადგინა. თურქეთის საგარეო ვალი ამჟამად 1,400 მილიონ დოლარს შეადგენს, და თურქეთის დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისია ამას წინათ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ 12 წლის განმავლობაში თურქეთი ან ათეულ ვალებს, ან ამედ ვალების პროცენტებსაც ვერ გადაიხდის. ოქროსა და ვალუტის ძარგი თურქეთში 25-ჯერ ნაკლებია უცხოთის სახელმწიფოებისადმი ვალების თანხაზე.

ათათურქს მიაჩნდა, რომ თუ არ არის ეკონომიური დამოუკიდებლობა, ისე შეუძლებელია ნამდვილი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მისი ეგრეთწოდებული ეტატიზმის პოლიტიკა ძიზხად ისახავდა დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნას. სახელმწიფო სახსრების ხარჯზე ძან მთელი რიგი ეროვნული საწარმოები ააშენა. მენდერესის დროს ეს საწარმოები კერძო მეწარმეებს გადასცეს.

ათათურქი ცდილობდა შეეზღუდა ქვეყნის ეკონომიკაში უცხოთის კაპიტალის როლი. ათათურქის შემდეგ მენდერესის მთავრობამ ფართოდ გაუხსნა გზა უცხოთის კაპიტალს თავისი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრისაკენ და ნავთობის სიმდიდრეზე სახელმწიფოს ეროვნულ უფლებებზეც კი თქვა უარი. თურქეთის ნავთობის ძიება და მოპოვება ხელში ჩაუვარდათ ამერიკულ მონოპოლიებს. ამერიკული კომპანიები და ცალკეული ამერიკელი მოქალაქენი, რომლებიც თურქეთში მეწარმულ საქმიანობას ეწევიან, განთავისუფლებულ იქნენ გადასახადებისაგან.

ეროვნულ საწარმოთა დახურვისა და ხელოსანთა გაღატაკების გამო თურქეთში ძლიერ გაიზარდა უმუშევრობა. მკვეთრად დაეცა რეალური ხელფასი. სოფლის მეურნეობის დაცემამ სურსათის ნაკლებობა გამოიწვია. 1957 და 1958 წლებში ამერიკელები თურქეთში ჰყიდდნენ 1942 წელს დაკლული საქონლის ხორცს, გაფუჭებულ ყველს, რძის ფხვნილს და სხვ. სამრეწველო საქონლის ფასები 1959 წელს ექვსჯერ გადიდდა 1950 წელთან შედარებით.

შიმშილისა და სიღატაკის ნიადაგზე მეტად განვითარდა კორუპცია, რომელიც ყველაზე მაღალ მოხელეებსაც კი მოედო. მენდერესის დემოკრატიულმა პარტიამ სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობას ბრალი დასდო, რომ მან სახელმწიფო სახსრები მითვისა ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს. დემოკრატიულმა პარტიამ კონფისკაცია უყო სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მთელ ქონებას, რომლის ღირებულება 66 მილიონ თურქულ ლირას შეადგენდა, მაგრამ ხაზინას კი არ დაუბრუნა იგი, არამედ თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

კორუპციაში გარეული იყვნენ მენდერესის მთავრობის ყველაზე გამოჩენილი წევრები, საგარეო საქმეთა მინისტრის ზორლუს დაპატიმრების შემდეგ მოეწყო მისი ცოლის ძვირფასი ნივთების გამოფენა, რომელთა ღირებულება 300 მილიონ თურქულ ლირას შეადგენდა. მინისტრი მხოლოდ იქნა იმაში, რომ ათეულ მილიონობით ლირა ქრთამებს იღებდა.

ფინანსთა მინისტრმა პოლატკანმა მითვისა გემი, რომელიც სახელმწიფოს საჭიროებისათვის იყო შეკვეთილი. ისიც მხოლოდ იქნა მილიონიანი ქრთამების აღებაში.

რეკორდი დაამყარა მენდერესმა, რომელმაც მოსაჩვენებლად უარი თქვა მინისტრის ჯამაგირის მიღებაზე, მაგრამ უბოდიშოდ აფათურებდა ხელს სახელმწიფო ხაზინაში. ხაზინიდან იფარებოდა დედაქალაქის რესტორნებში მისი ქეიფის ხარჯები, მისი საყვარლების მორთულობისა და ძვირფასი ნივთების ღირებულება. როცა დაკითხვისას მის ცოლს ჰკითხეს, რა სახსრებით არსებობდითო, იგი გაოცდა ამ კითხვით და უპასუხა, როცა ფული მჭირდებოდა, მივმართავდი ქმრის მდივანს, რომელსაც საჭირო თანხა მოჰქონდაო.

ხალხის ქონების დამტაცებლები ხალხს ძარცვავდნენ და ამავე დროს ცდილობდნენ ხალხის აღიარებულ ბელადებად გასესაღებინათ თავი. როცა საზღვარგარეთ ყოფნისას მენდერესი ხელყოფას გადაურჩა და ანკარაში დაბრუნდა, ახლომახლო სოფლებიდან დედაქალაქის ქუჩებში მორეკეს ათასობით გლეხი, რომლებსაც ხელში ეჭირათ სამსხვერპლო ბატკნები და პრემიერის თვალწინ კლავდნენ, ქუჩები სისხლით იყო მორწყული. მენდერესს სახე უბრწყინავდა.

კონსტიტუციის დარღვევამ, ტერორმა, სტამბოლისა და ანკარის სტუდენტთა დემონსტრაციების მასობრივმა დახვრეტამ

კინოფესტივალის ეკრანზე...

ВТОРОЙ МЕЖДУНАРОДНЫЙ КИНОФЕСТИВАЛЬ 1961 МОСКВА

მოსკოვი, 14 ივლისი. (საკდესი). მეექვსე დღეა გრძელდება ჩვენს დედაქალაქში კინოფილმების მსოფლიო დათვალიერება. მან უნდა გვიჩვენოს როგორ იბრძვიან ყველაზე მასობრივი, ხალხისათვის ყველაზე საყვარელი ხელოვნების — კინოს მოღვაწეები ჰუმანიზმისათვის, ყველა ქვეყნის, დედამიწის ყველა ადამიანის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

ფესტივალის ამ დევიზს კარგად შეესაბამება დღეს ნაჩვენები ინდონეზიური ფილმი „თავისუფლებისათვის მებრძოლნი", რომლის სცენარისტი და დამდგმელია უსმარ ისმაილი. ფილმი მოგვითხრობს 1947 წლის გმირულ დღეებზე, როცა ინდონეზია იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის, ჰოლანდიელ ოკუპანტთა წინააღმდეგ. მე მებრძოლი ვარ და მინდა ვიყო მხოლოდ მებრძოლი, ჯარისკაცი იმიტომ, რომ დღეს ეს ერთადერთი საქმეა, რომელიც მე შემიძლია გავაკეთო, ამბობს ფილმის ერთ-ერთი გმირი.

ყველა უნდა გახდეს მებრძოლი, ჯარისკაცი, თუ სამშობლო საფრთხეშია, თუ მსოფლიოს ომი ემუქრება. — ეს იდეა დამაჯერებლად წარმოსახა ინდონეზიური ფილმის შემოქმედებითმა კოლექტივმა.

მეორე კინოსურათი, რომელიც კონკურსზე აჩვენეს დღისით 14 ივლისს, იყო ფინური კომედია „სკანდალი ქალთა გიმნაზიაში", რომლის რეჟისორია ედვინ ლაინე.

მოსკოვი, 15 ივლისი. (საკდესი). გვიან ღამემდე გრძელდება საფესტივალო მოსკოვის სამუშაო დღე. გუშინ საღამოს კინოთეატრ „რუსეთში" მოსკოველები და ფესტივალის მონაწილენი მხურვალედ მიესალმნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ალოის პოლოდნიაკი. ჩეხოსლოვაკიის კინოშუშაკებმა ეიურის წარუდგინეს ფსიქოლოგიური კინომოთხრობა „ბორკილები". ამ ნაწარმოების ავტორები იბრძვიან ადამიანის სულით მდიდარი ცხოვრებისათვის, მეშჩანური კეთილდღეობის წინააღმდეგ. ნამდვილი სიმართლისადმი ერთგულება ხდის ამ ფილმს დამაჯერებელსა და საინტერესოს.

კონკურსის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო დოკუმენტური ფილმია რეჟისორ პეტერ ულბრიხტის ფილმი „ვაიმარი, გვერდით ბუხენვალდი" (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). გერმანელი ხალხის ისტორიის ორი ეპოქაა დაპირისპირებული ამ სურათში. და მათ განსახიერებული ორი ქალაქი, ვაიმარი — გერმანული კლასიკის ქალაქი, ქალაქი, სადაც ცხოვრობდა გოეთე, სადაც მიიღეს პირველი დემოკრატიული კონსტიტუცია. და ბუხენვალდი, რომელიც გახდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საზარელის — ფაშიზმის სინონიმი. შემზარავი სურათები: სიკვდილის საკნები, სადაც დაიღუპა სხვადასხვა ეროვნების ათეულათასობით ადამიანი, წამების იარაღი აღბეჭდა ოპერატორმა.

აქ ჯალათებმა მოკლეს გერმანელი ხალხის ერთგული შვილი ერნსტ ტელმანი. მაგრამ ადამიანები არ ნებდებოდნენ, ისინი იბრძოდნენ, ისინი ცხოვრობდნენ თავისუფლების დიდი იმედით. ფილმი აფრთხილებს: ბუხენვალდის ზარი ჯერ კიდევ გუგუნებს ამ ქვეყანაში. ჯერ არ შეშრობიათ სისხლი მკვლელებს ხელზე და კაცობრიობამ ვალდებულია ყველა ღონისძიება იხმაროს, რათა არასოდეს არ აღორძინდეს ფაშიზმი.

ინდური მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ჰიმაჩალი", რომელიც იმავე დღეს აჩვენეს, მაყურებელს აცნობს ინდოეთის ერთ-ერთი ჩრდილოეთი შტატის მდიდარ ბუნებას, ადამიანთა ცხოვრებას. დოკუმენტური კინონარკვევით „ხატვის სწავლების მეთოდიკი" წარმოდგენილ იყო ამ დღეს ფესტივალზე ავსტრალია.

ინდოეთის დელეგაციის მეთაური გურუ დატი, თვალსაჩინო მწერალი აპმად კ. ამასი — საბჭოთა კავშირ-ინდოეთის სურათის „მოგზაურობა სამი ზღვის იქით" („ათანასე ნიკიტინის") სცენარის ავტორი და სხვები სტუმრად იყვნენ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის საზოგადოებაში.

— მოსკოვის კინოფესტივალი შესანიშნავია. მიმაჩნია, რომ უფრო მეტი მოვაწყოთ ასეთი საერთაშორისო დათვალიერება, — თქვა გურუ დატმა, ფესტივალზე ნაჩვენები ფილმის „მეთოთხმეტე ღამის მთვარის" დამდგმელმა რეჟისორმა და მთავარი როლის შემსრულებელმა.

საბჭოთა მწერალმა მ. ნ. სმირნოვამ, ათანასე ნიკიტინის შესახებ ფილმის ამაბის სცენარის თანაავტორმა, მეგობრული საუბრის მსვლელობაში, რომელიც გაიმართა მასპინძლებსა და სტუმრებს შორის, აღნიშნა, რომ ინდური ფილმები სსრ კავშირში უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ. თითქოს სმირნოვას საპასუხოდ, ინდოეთის კინოგაქირავების მოღვაწემ ბიჯურმა განაცხადა, რომ ინდოეთში საბჭოთა ფილმებს 1949 წლიდან აჩვენებენ. მან დაასახელა ბევრი სურათი, რომლებსაც დიდი წარმატება ჰქონდათ დელიში, კალკუტაში, ბომბეისა და სხვა ქალაქებში.

კინოფესტივალის მონაწილეებისათვის დარბაზობა გამართა ღამით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩმა რ. დვორჟაკმა. დარბაზობის მონაწილეებმა გაცხოველებულ, უშუალო საუბრებში თავიანთი შთაბეჭდილებანი გაუზიარეს ერთმანეთს კინოფესტივალის შესახებ.

საფრანგეთის კინემატოგრაფიის ცნობილმა მოღვაწეებმა ჟ. სადულმა და კრიტიკოსმა მ. მარტენმა, რომლებიც საბჭოთა კოლეგებს ესაუბრებოდნენ, აღნიშნეს ფესტივალზე წარმოდგენილი კინოხელოვნების ნაწარმოებთა ფართო დიაპაზონი და გამოთქვეს რწმენა, რომ ამ ფესტივალის ერთ-ერთი შედეგი იქნება ფართო შემოქმედებითი დისკუსია მსოფლიო კინოს განვითარების გზებზე. თვალსაჩინო ჰოლანდიელმა კინოხელოვნების მოღვაწემ იორის ივენსმა ხაზგასმით აღნიშნა გულწრფელობის, კეთილმოსურნეობისა და დიდი ურთიერთინტერესის ატმოსფერო, რაც დამყარდა მოსკოვის კინოფესტივალზე.

დღეს ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა ალოის პოლოდნიაკმა პრეს-კონფერენციაზე სასტუმრო „მოსკოვში" დამსწრეთ უამბო, თუ როგორ ვითარდება კინო ჩეხოსლოვაკიაში. მან აღნიშნა, რომ პრაღისა და ბრატისლავის ორი კინოსტუდიის 8 დამოუკიდებელი შემოქმედებითი გაერთიანება წელიწადში ქმნის 36 სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმს. დოკუმენტური ფილმების სტუდია უშვებს დაახლოებით 450 მოკლემეტრაჟიან სურათს.

ალოის პოლოდნიაკმა, რომელმაც გააშუქა ჩეხოსლოვაკიის კინოსტუდიების შემოქმედებითი გეგმები, განაცხადა, რომ ამ ქვეყნის თანამედროვე კინოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა გახდეს ფილმი, რომელიც შეიქმნება იულიუს ფუჩიკის წიგნის მიხედვით, რომელსაც ჰქვია „რეპორტაჟი სახრჩობელიდან". ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა თქვა აგრეთვე, რომ გათვალისწინებულია სსრ კავშირის კინომუშაკებთან ერთად დაიდგას ფილმი მწერალ იაროსლავ ჰაშეკის ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდზე, აგრეთვე კინოკომედია „ორჯერ სიცოცხლეში".

ᲤᲠᲔᲜᲒᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲔᲡᲗᲐᲜ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა კოლექტივებს ევროპაში ყოველთვის უძლიერესთა რიგებში აყენებენ. მათი თამაში ბამორჩევა მაღალი ტექნიკით, ტემპიანი ბრძოლით, მრავალფეროვანი ტაქტიკით.

ამაში მონაწილეები მაყურებლები დარწმუნდნენ ჯერ კიდევ პირველ მატჩებში, რომლებიც შაბათს შედგა სპორტის სასახლეში. როგორც ცნობილია, სტუმრებმა გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 3:1, 3:0.

და აი გასულ კვირაოდღეს სტუმრები კვლავ გამოვიდნენ სპორტის სასახლეში ფრენბურთის ბადესთან, იმჯერად თბილისის ნაკრებთა წინააღმდეგ. როგორც მოსალოდნელი იყო, ქალთა გუნდების ასპარეზობაში კვლავ ჩეხოსლოვაკიის გუნდმა გაიმარჯვა. ანგარიშით 3:0 (15:10, 15:8, 15:9).

საერთო ყურადღებას იპყრობდა ვაჟთა გუნდების ასპარეზობა. ეს იყო მეტად დაძაბული და შეუპოვარი ბრძოლა. როცა ანგარიშები გახდა 2:2, მატჩის ბედი უნდა გადაეწყვიტა მეზუთე პარტიას. თბილისელებმა, რომლებიც მოქმედებდნენ ორგანიზებულად და შემტევი სტილით, შეძლეს დაძაბული ბრძოლის მოგება ანგარიშით 3:2 (8:15, 15:10, 15:13, 7:15, 20:18).

თბილისელებიან გამოირჩეოდნენ ვ. კაჭარავა, ვ. გავრილენკო, თ. კუჭავა.

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲩᲔᲛᲘᲠᲝᲜᲐᲢᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა, რომელიც საკავშირო ჩემპიონატში 1-ᲛᲔ ადგილებისათვის იბრძვის, შეჯიბრებაში წარმატებთან გამოდის.

პირველი წრის უკანასკნელი შეხვედრა დინამოელებს ჰქონდათ რიგაში სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონთან რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან. შეჯიბრება თბილისელებმა წარმატებით ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 68:60.

ეს თბილისის დინამოელთა მეოთხე გამარჯვებაა ზედიზედ, მეორე წრის მატჩების უმრავლესობას (5) „დინამო" გამართავს თბილისში.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 16 ივლისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის კალათბურთელთა ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ანგარიშით 67:64 (36:34) მოსკოვის დინამოელებმა მოუგეს „ბურევესტნიკის" გუნდს (ლენინგრადი).

შეხვედრის სნაიპერები იყვნენ მოსკოველი ი. კორნეევი, რომელმაც გამარჯვებულ გუნდს 21 ქულა მოუპოვა. ლენინგრადელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყვნენ ი. ბიკოვი და ს. პრიახინი — 12-12 ქულა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲨᲢᲐᲜᲒᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ შტანგისტთა ტურნე საბჭოთა კავშირში დასასრულს უახლოვდება. მათ უკვე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებთან სამი საერთაშორისო შეხვედრა გამართეს და სამივე წააგეს. მართალია სტუმრებს თავიანთ რიგებში არ ყავთ მსუბუქი და ქვესაშუალო წონის ძალოსნები. მაგრამ დანარჩენ წონითს კატეგორიებშიც საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა აშკარაა. ერთად-ერთ წონაში, სადაც ამერიკელებს თითქმის ყოველთვის გამარჯვება უზრუნველყოფილი აქვთ, ეს ქვემსუბუქი წონაა, სადაც გამოდის მსოფლიოში ცნობილი ძალოსანი ბერგერი.

მესაძე შეხვედრა ამერიკელებს ჰქონდათ კიევში. მატჩის შედეგია 6:1 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ. მჩატე წონაში გაიმარჯვა ულიანოვმა. მან სამჭიდში აჩვენა 327 კილოგრამი. ვინჩმა ერთ-ერთ მოძრაობაში მიიღო შეფასება ნოლი და დამარცხდა. მომდევნო წონაში ბერგერისა (ამერიკა) და რუდენკოს ორთაბრძოლა ფიცარნაგზე დამთავრდა პირველის გამარჯვებით. ამერიკელმა საჭიდში აჩვენა 352,5 კილოგრამი. უკანასკნელ სამ წონაში გაიმარჯვეს ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრებმა — პლუკფელდერმა, მორონენკომ და რომანენკომ მათ თანმიმდევრულად აჩვენეს შედეგები— 460, 450 და 475 კილოგრამი.

კიევიდან ამერიკელი შტანგისტები თბილისს ეწვევიენ. საქართველოს სპორტსმენებმა მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. ჩვენმა სტუმრებმა დათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობები, იყვნენ თბილისის „ზღვაზე", ნახეს ბალეტი „ოტელო" და სხვა.

დღეს თბილისელი მაყურებლები ამერიკელ შტანგისტებს იხილავენ სპორტის სასახლეში. აქ გაიმართება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების მეოთხე საერთაშორისო შეხვედრა ძალოსნობაში.



გულითადი სალამი სპორტის ქართველ მოყვარულებს.

Ვ. ᲑᲠᲣᲛᲔᲚᲘ

მეგობრული შარჟი, Ბ. ᲤᲘᲠᲪᲣᲚᲐᲕᲐᲜᲘᲡ.

ᲐᲕᲢᲝᲛᲠᲑᲝᲚᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ᲣᲤᲒᲝᲠᲝᲓᲘ, 16 ივლისი. (საკდესი). დღეს დამთავრდა ავტომრბოლთა შეჯიბრების დასკვნითი ეტაპი — ავტორალი, რომელიც მოეწყო ტექნიკურ სახეობათა სპორტში სრულიად საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 12 მოკავშირე რესპუბლიკის, ავრეთვე ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის 150 საუკეთესო სპორტსმენმა.

გუნდური პირველობა და სსრ კავშირის თასი მოიპოვეს თურქმენეთის სსრ ავტომრბოლებმა, რომლებმაც პირველად მიიღეს მონაწილეობა ასეთ შეჯიბრებაში. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ესტონეთის სსრ სპორტსმენები, მესამეზე — ლატვიის გუნდი. მოსკოველმა ავტომრბოლებმა დაიკავეს მეოთხე ადგილი.

ᲛᲔᲓᲒᲝᲒᲠᲝᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 17 ივლისი. (საკდესი). რუსული, უკრაინული, ლატვიური, ქართული, უზბეკური და სხვა მელოდიები ისმოდა დღეს დიდი მოსკოვის ყველა რაიონში. დედაქალაქის ათასობით მცხოვრები, რომლებიც ჩრდილოეთ პარკებსა და ბაღებში ისვენებდნენ, გახდა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის დღესასწაულის მონაწილე.

დღესასწაული დაიწყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ბიღწევათა გამოფენაზე. შუადღისას, როცა ივლისის მზის სხივებმა გაფანტა ნისლი, რომელიც ადილადანე ჩამოსწოლოდა ქალაქს, მოკავშირე რესპუბლიკების ალმებით მორთული მთავარი პავილიონიდან სპეციალური ავტომატარებელი გავიდა. მან გაიარა წრე და გაჩერდა შადრევანთა მოედანზე. მოძმე ეროვნებათა წარმომადგენლებმა, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა, მეგობრობის ფერხული ჩაიბეს. ნაკრებმა გუნდმა წამოიწყო სიმღერა. მას ბანი მისცა ათასობით ხმამ. ყველგან კონცერტები იმართება. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მდინარე მოსკოვის ნაპირზე ფრიალებს რუსეთის ფედერაციის ალმები.

რაკეტების ზალპით დაიწყო დღესასწაული „სოკოლნიკის" კულტურისა და დასვენების პარკში. აქ მოსკოველების წინაშე გამოვიდნენ უკრაინისა და ბელორუსიის წარმომადგენლები.

უზბეკეთისა და ტაჯიკეთის წარჩინებულ ადამიანებს შეხვდნენ დედაქალაქის მშრომელები, რომლებიც იზმაილოვის პარკში ისვენებდნენ. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს — ლატვიას, ესტონეთს მიეძღვნა ხალხმრავალი სეირნობა საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის ბაღში. ყირგიზეთისა და თურქმენეთის სახალხო მეურნეობის, კულტურის წარმატებათა შესახებ ბევრი საინტერესო რამ შეიტყეს იმათ, ვინც „კრასნაია პრესნის" პარკში მივიდა.

საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ბოლდავეთის წარმომადგენლებთან შეხვედრები გაიმართა მოსკოვის სხვა ბაღებსა და პარკებში.

„ᲘᲦᲒᲚᲘᲐᲜᲘ" ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲗ

ᲡᲝᲩᲘ. (საკ. კორ.). აფხაზეთის შემნახველ სალაროებში დაიწყო საქართველოს სსრ 1961 წლის მეორე გამოშვების ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მოგებათა განაღდება.

გალის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაამ ვ. ჩხეტიამ შემნახველ სალაროში წარადგინა ლატარიის 71558 სერიის № 208 ბილეთი, რომელსაც ხვდა ავტომობილანა „მოსკვიჩი".

მაცივრები და საკერავი მანქანები მოიგეს ამავე რაიონის მცხოვრებლებმა ა. გასვიანმა, ზ. არნაუტმა, დ. ბინიადრიშვილმა, ა. გვაჯავამ, ზ. დემურიამ.

მაცივრები, ტელევიზორები, საკერავი მანქანები და სხვა ძვირფასი ნივთები მოიგეს სოხუმელებმა ც. კიუტიმ, ზ. მირონოვამ, ა. ქარჩავამ, ჯ. ქუთათელაძემ და სხვებმა.

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

18 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ: უკრაინის დნეპროპეტროვსკის ტ. შევჩენკოს სახელობის დრამატული თეატრი — მილიციის სერჟანტი (რუსთაველის სახელობის თეატრში). ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — ლატერნა მაგიკა.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ: 12.00 — მხატვრული ფილმი „გრძელი კედლის გადაღმა". საღამოს 18.00 — თქვენი თხოვნით, მეგობრებო (კონცერტი მოსწავლეთათვის), 18.20 — კინონარკვევი, 19.00 — სპორტული გადაცემა. შესვენების დროს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიყვარული" (კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტთა ნამუშევარი) და ახალი ამბები, სპორტული გადაცემის შემდეგ — კონცერტი რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან.

ᲙᲘᲜᲝ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲝᲚᲐᲓᲘ"

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ მეტალურგიის განვითარების შესახებ მოუთხრობს მაყურებელს ქრონიკალურ-დოკუმენტალური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს კინოსტუდიის ნაწარმოები „ქართული ფოლადი", რომელიც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დაკვეთით არის გადაღებული.

კინოსურათის სცენარის ავტორებმა თ. სვანმა და კინოდრამატურგმა კ. გოგოძემ საინტერესო ქარგა მოუნახეს ფილმს. მაყურებლის თვალწინ ცოცხლდებიან ძველი მჭედლები, სამჭედლო თავისი პრიმიტიული იარაღებით, საბრძოლო ეპიზოდები, როდესაც ქართველი მხედრები, უშუალოდ მტერთან ხელჩართულ ბრძოლებში ამოწმენდენ ხალებური ფოლადისაგან გამოჭედილ მახვილს.

ფილმში გამოყენებულია არქეოლოგიური მასალა — გათხრების დროს ნაპოვნი ძველი იარაღები, რომლებიც ნათლად ადასტურებენ საქართველოში ფოლადის დნობის, ჭედვისა და წრთობის მაღალ კულტურას. მაგრამ განა მართო საომარ იარაღს ამზადებდნენ ამ საუკეთესო მასალისაგან. მისგან ნაჭედი ხელსაწყოებით იკოდებოდა ქვა, იკვეთებოდა ქვაზე ორნამენტები, შენდებოდა უძველესი კულტურის ძეგლები. მაყურებლის თვალწინ გაიელვებენ უფლისციხე, ბაგრატისა და ალავერდის ტაძრები, ვარძია.

ფილმში კარგად არის გამოყენებული ისტორიული დოკუმენტები. რ ო ლ ი მასალა ქართველ მეფოლადეთა ხელოვნებაზე.

მძიმე და პრიმიტიული იყო მადნის მოპოვების წესი წინათ საქართველოში. ეკრანზე ვხედავთ ჭიათურის მაღაროელებს, რომლებიც უბრალო იარაღით ებრძვიან კლდეს. ხელის ურიკებით ეზიდებიან მაღაროდან მარგანეცს, ტვირთავენ ცხენებს, ურმებს და გადააქვთ კლდიდან კლდეზე.

ამის საპირისპიროდ ეკრანზე ვხედავთ თანამედროვე ჭიათურას, საქართველოს მძიმე მრეწველობის ერთ-ერთ კერას. საბადურო გზებით დასერილ ქალაქს ცას. მაღაროების შუამავრთებელ მავთულებზე სწრაფად მისრიალებენ მარგანეცით დატვირთული ურიკები, მეშახტეებით სავსე სატრანსპორტო ვაგონები.

მაყურებელი ეცნობა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ მაღაროელთა მუშაობას, მოწინავე აღმოჩენებს, გამამდიდრებელ ფაბრიკას, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას და, ბოლოს, ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მუშაობას.

შეიცვალა ქართველ მეფოლადეთა ცხოვრებაც. აბა გახედეთ, რა ლამაზი ქალაქი ამშენებს ახლა უწინდელ უკაცრიელ მინდორს. მწვანით შემოსილი ლარიფი გაჭიმული ქუჩები. ახალი საცხოვრებელი სახლები. კულტურის კერები. დაფუძნდა ქართველ მეფოლადეთა შრომა. განა მათ მიერ გამოჭედილი ფოლადისაგან არ კეთდება ტრაქტორი თუ მანქანა, მატარებელი თუ თვითმფრინავი.

ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა ვ. ვალიშვილმა ბევრი საინტერესო ხერხი გამოძებნა თხრობისათვის. მაყურებელი ერთნაირი ინტერესით ადევნებს თვალს წარსული დუხჭირი დროის ამსახველ კადრებს თუ თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი დიდი გიგანტების შრომითს პროცესებს, ბუნების მომხიბლავ პეიზაჟებს და მუშათა ცხოვრების ამსახველ კადრებს.

ფილმი გადაიღეს ოპერატორებმა — ლ. არზუმანოვმა, ო. დეკანოსიძემ, ა. მარგარიანმა. მხატვარია ვ. მესხი, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ს. ნასიძეს.

ეს ოთხნაწილიანი ფერადი დოკუმენტური ფილმი, რომელიც მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი, კარგი საჩუქარია ქართველი მეფოლადეებისათვის.

Ლ. ᲮᲣᲒᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კადრები ფილმიდან.

ᲚᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲨᲘ

მესხეთში გასტროლებზე იმყოფება ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრი. მესხეთის გულში — ახალციხეში თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გრ. ბერძენიშვილის სამმოქმედებიანი პიესა „გული ხელის გულზე", გ. ჩიტაიშვილის პიესა „როცა მეზობლად მტერია" და ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის პიესა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი".

თეატრი მესხეთში დაპყოფს რამდენიმე დღეს. ამ ხნის მანძილზე ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების მშრომელებს უჩვენებს აგრეთვე დ. კვიცარიძის პიესას „თოვლიან ღამეს" და გ. სტეფანსკის ვოდევილს „ავი სული".

ᲐᲒᲘᲢᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ ᲛᲬᲣᲔᲛᲡᲔᲑᲗᲐᲜ

Ნაუფიერად მუშაობს ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა ცაგერის სასოფლო კლუბთან შექმნილი აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელსაც მ. კოპალიანი ხელმძღვანელობს. ამ დღეებში ბრიგადა სტუმრად ეწვია ახალქალის ხაზაფხულო საძოვრებზე მყოფ ცაგერის, წიფერჩის, ლუხვანოს და სხვა კოლმეურნეობათა მწყემსებს. მათ მიუტანეს ახალი უურნალ-გაზეთები, მოუწყეს წითელი კუთხეები, გამართეს რადიომიმღები, გადასცეს საჩუქრები და ჩაუტარეს საუბრები და მოაწყეს კონცერტები.

Ბ. ᲮᲔᲪᲣᲠᲘᲐᲜᲘ.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲡᲠᲝᲠᲢᲘ

□ ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲑᲠᲣᲛᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲝᲜ ᲗᲝᲛᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲓᲣᲔᲚᲘ. □ ᲠᲐᲡᲛᲐ ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘᲡ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ. □ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲚᲔᲠᲘᲡᲔᲑᲘ ᲘᲣᲤᲔᲜᲔ. □ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲑᲣᲜᲓᲘᲗ 124 ᲙᲣᲚᲐ ᲨᲔᲐᲑᲠᲣᲐᲕ. □ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 6 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ.

„ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ"

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 17 ივლისი. (ტელეფონით). ტიტანთა ბრძოლის, ანუ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მძლეოსანთა ტრადიციული შეხვედრის ჯერ კიდევ პირველ დღეს ცხადი გახდა, რომ ეს მატჩი წინა ასპარეზობებისაგან გამოირჩეოდა. ჩანს, ორივე ქვეყნის მძლეოსნები „საუკუნის მატჩისათვის" ისე მოემზადნენ, როგორც არასოდეს. ეს ცხადყო პირველმა შედეგებმა, სპორტულმა მაჩვენებლებმა — სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ახალმა რეკორდებმა, რომლებიც ამ შეჯიბრებაზე იქნა დამყარებული.

როგორც ვიუწყებოდით, პირველი დღის შედეგებით ვაჟთა შორის წინ იყვნენ სტუმრები, ქალთა შორის — საბჭოთა მძლეოსნები. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დასკვნითს შეხვედრებს, მათ შორის მსოფლიო რეკორდსმენის ვალერი ბრუმელისა და ჯონ ტომასის საჰაერო დუელს, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მძლეოსნის რალფ ბოსტონისა და იგორ ტერ-ოვანესიანის ოლიმპიადას, სტაიერთა ასპარეზობებს, ამანათრბენებს, ათჭიდის ფინიშს და სხვ.

და აი გასულ კვირაღდეს ათეულ ათასობით სპორტის მოყვარული კვლავ ერთსულოვანი ტაშით შეხვდა მეტოქეებს — „საუკუნის მატჩის" მონაწილეებს. ასპარეზობა დაიწყო ათჭიდელთა გამოსვლით, რომლებიც ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ 110 მეტრზე თარჯრბენში.

ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის № 5 მძლეოსნური სექტორი განკუთვნილი იყო გამორბენით სიმაღლეზე ხტომისათვის. აქ თავი მოიყარეს ასპარეზობის მონაწილეებმა ვ. ბრუმელმა, ჯ. ტომასმა, რ. შავლაყაძემ, მსაჯებმა, ფოტორეპორტიორებმა.

დაიწყო ამ დღის ყველაზე საინტერესო შეჯიბრება. მალე მწყობრიდან გამოვიდა რ. შავლაყაძე, მან ვერ დაძლია 2 მეტრი და 10 სანტიმეტრი.

თამასის სიმაღლე 2 მეტრი და 19 სანტიმეტრია. ასპარეზობას მხოლოდ ორი მეტოქე ვ. ბრუმელი და ჯ. ტომასი შერჩა. მათ ეს სიმაღლეც დაძლიეს. მსაჯებმა თამასი 2 მეტრსა და 24 სანტიმეტრზე დააყენეს. სწორედ აქ უნდა გადაწყვეტილიყო პირველობის, მსოფლიოს ახალი რეკორდის საკითხი. ჯ. ტომასის სამივე ცდა მარცხით დამთავრდა. ვ. ბრუმელის მესამე ცდა მაყურებელთა ერთსულოვნებამ ტაშმა დაფარა. არის ახალი მსოფლიო რეკორდი! ვ. ბრუმელს გამარჯვება პირველმა ჯ. ტომასმა მიულოცა. საბჭოთა მძლეოსანმა მოითხოვა სიმაღლე 2 მეტრი და 26 სანტიმეტრი, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლო, მას წვიმამ შეუშალა ხელი.

ამ დღის მეორე დიდ შეხვედრას სიგრძეზე ხტომა წარმოადგენდა მსოფლიო რეკორდსმენის რალფ ბოსტონისა და იგორ ტერ-ოვანესიანის შორის. მეორე ცდისას ამერიკელი მძლეოსნის შედეგი 8 მეტრი და 28 სანტიმეტრი იყო. ამ შედეგით რალფ ბოსტონმა პირველი ადგილი დაიკავა, ამასთან ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. იგორ ტერ-ოვანესიანის შედეგია — 8 მეტრი და 1 სანტიმეტრი.



ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲘᲡ ᲠᲐᲚᲤ ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲙᲝᲠᲓᲝ ᲒᲐᲓᲐᲮᲢᲝᲛᲐ.

უკანასკნელი დღის ასპარეზობა კიდევ ერთი ბრწყინვალე შედეგით აღინიშნა. საბჭოთა მძლეოსანი ტატიანა შჩელკანოვა გამორბენით სიგრძეზე გადახტა 6 მეტრსა და 48 სანტიმეტრზე და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა.

პირველი დღის შედეგებით მძლეოსნურ ათჭიდში წინ იყო საბჭოთა გუნდის წარმომადგენელი ი. კუტენკო. მან შეჯიბ